ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 105 (2021)
შაბათი, 19 აგვისტო, 1995 წელი
ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვფარავდეს უფლის მადლი!

ფერისცვალება— დიდი დღესასწაული

19 აგვისტოს ყველა ქართველისა და ყველა ქრისტიანის უდიდესი დღესასწაულია — ფერისცვალება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

„იესო ქრისტეს ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ იესო უამრავ სნეულსა და გაჭირვებულს აკურთხებდა და კურნავდა. ხალხის უმრავლესობას სურდა, რომ მაცხოვარი მიწიერ მეფედ ეღიარებინა. თვითონ მაცხოვარი კი ამას განერიდა და თავის მოწაფეებთან ერთად გალილეიდან ფილიპეს კესარიის მხარეში გადავიდა.

იესოს არნახული აღიარებით გამძვინვარებულმა მღვდელთმთავრებმა და ფარისევლებმა გადაწყვიტეს მისი დაღუპვა. მაცხოვარმა თავის მოწაფეებს პეტრეს, მის ძმა იოანესა და იაკობს შესთავაზა მაღალ მთაზე ასვლა. დიდხანს ადიოდნენ ისინი თაბორის მთაზე, როცა მათ მთის წვერს მიაღწიეს, იესო სალოცავად განზე გადგა. მის მოწაფეებს კი ჩაეძინათ, რადგან მათი ადამიანური ბუნება იმას ვერ შეიგრძნობდა, რაც მაცხოვარს შეეძლო. გაღვიძებულმა მოწაფეებმა უმშვენიერესი სურათი იხილეს — ეს იყო იესოს ფერისცვალება: მისი სახე მზესავით ბრწყინავდა, სამოსელი კი თოვლივით ქათქათებდა. ორი ღვთაებრივი ადამიანი — წინასწარმეტყველები მოსე და ელია იესოს აქეთ-იქიდან ამოსდგომოდნენ და მაცხოვრის მომავალ ვნებაზე საუბრობდნენ. შემდეგ ციდან გადმოვიდა ნათელი ღრუბელი და იქიდან გაისმა ხმა უფლისა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვყავ: მაგისი ისმინეთ“.

ფერისცვალება უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია. ამ დღეს იკურთხება ახალი ხილი, რომელიც ახლობლებს ნათესავთა საფლავზე მიაქვთ. საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში აღევლინება ამ დღესასწაულთან დაკავშირებული საზეიმო წირვა-ლოცვა. მოძღვრებიცა და მრევლიც შეავედრებენ უფალს ოჯახებს, სამშობლოს, ქართული მიწა-წყლის მშვიდობისათვის, ქვეყნის გამთლიანებისათვის, ილოცებენ მათი ბედნიერებისათვის.

საქართველოს პარლამენტში

გვექნება საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოში იქნება დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, რომლის შემადგენლობაში ამიერიდან შევა ჩვენი სინამდვილისათვის სრულიად ახალი სასამართლო ორგანო — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო — ასე გადაწყვიტა საგანგებო სესიის 18 აგვისტოს სხდომაზე რესპუბლიკის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ. განისაზღვრა სასამართლოების უფლებები, საქმეთა განხილვის, სამართალწარმოების წესები. რესპუბლიკაში სამართალწარმოების ერთადერთი ენა იქნება სახელმწიფო ენა. იმ ტერიტორიებზე, სადაც ცხოვრობენ ენობრივი უმცირესობები და მოსახლეობა სათანადოდ ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, გარანტირებული იქნება მისი შესწავლისა და სამართალწარმოებაში მისი ალტერნატივო გამოყენების პირობები.

საკმაოდ სერიოზული კამათის შემდეგ დადგინდა ასაკობრივი ზღვარი მოსამართლედ შესარჩევი კანდიდატურებისათვის და იგი 30 წლის ასაკით განისაზღვრა.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის განსაზღვრის საკითხი. ვარიანტების სიმრავლის მიუხედავად, პარლამენტართა მხარდაჭერა მოიპოვა შეთანხმებულმა ვარიანტმა მერაბ კოსტავას საზოგადოებისა და ფრაქცია „ტრადიციონალისტების“ წინადადებათა გათვალისწინებით. პარლამენტის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობაში შევა 9 მოსამართლე, რომელთაგან სამს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, სამს — პარლამენტი და სამსაც — უზენაესი სასამართლო. მოსამართლეები დაინიშნებიან ათი წლის ვადით.

განისაზღვრა საქართველოს პროკურატურის ფუნქციები. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გენერალური პროკურორი დაინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ 5 წლის ვადით.

პარლამენტის მორიგი სხდომა 19 აგვისტოს გაიმართება.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

ქ. თბილისი

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ!

გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის, რომელიც რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს დელეგაციას გაუწიეთ 1995 წლის 11-13 ივლისს საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად ყოფნის დროს.

შეხვედრები და საუბრები რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან, აზრთა ფართო გაზიარება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე უეჭველად ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას რუსეთისა და საქართველოს ხალხთა საკეთილდღეოდ.

ამავე დროს გთხოვთ, ედუარდ ამბროსის ძევ, დამერწმუნოთ თქვენდამი ჩემს დიდ პატივისცემაში.

ვლადიმერ შუმეიკო,

რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე.

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ვილი ვიმერი

18 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გერმანიის ბუნდესტაგის წევრი, „გერმანია-კავკასიის“ პარლამენტართა ჯგუფის თავმჯდომარე, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო თათბირის ვიცე-პრეზიდენტი ვილი ვიმერი. ბატონი ვიმერის საქართველოში ვიზიტის მიზანია გაეცნოს რესპუბლიკის ამჟამინდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, შეაფასოს ქვეყნის მზადყოფნა უცხოური ინვესტიციებისა და ბიზნესის აქტიურად შემოსვლისათვის.

სახელმწიფოს მეთაურმა სტუმარს გააცნო ქვეყანაში რეფორმების მიმდინარეობა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ხორციელდება პრივატიზაციის პროცესი, მიღებულია კანონი უცხოური ინვესტიციების დაცვის შესახებ, მთავრდება კონსტიტუციის მიღება, იქმნება საკანონმდებლო ბაზა.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოს მეგობრული და საქმიანი დამოკიდებულება აქვს ბევრ ქვეყანასთან, გაუმჯობესდა ურთიერთობა რუსეთთან.

ბატონმა ვილი ვიმერმა სახელმწიფოს მეთაურს გერმანიის ფედერალური კანცლერის გულთბილი სალამი გადასცა და აღნიშნა, რომ გერმანელ პოლიტიკოსთა აზრით, დღეს ევროპას პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობა აქვს ედუარდ შევარდნაძის მიერ შემოთავაზებული წესების მიხედვით. სტუმარმა ბრძანა, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოტანისათვის აუცილებელი პირობაა არა მხოლოდ ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, არამედ პოლიტიკური სტაბილიზაცია, რისი პირობებიც რესპუბლიკაში არსებობს. ბატონმა ვიმერმა ილაპარაკა იმ პერსპექტივებზე, რომელიც ევროპისათვის აქვს კავკასიური დერეფნის პროექტს. სტუმარი დაინტერესდა საქართველოში საკონსტიტუციო პროცესის მიმდინარეობით, კერძოდ, ფედერალიზმის საკითხების კონსტიტუციური გადაჭრის გზით.

ბატონმა ვილი ვიმერმა ხაზი გაუსვა გერმანიის ხელისუფალთა, მოქალაქეების დიდ პატივისცემას ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი, რომელმაც ყველაზე კარგად იცის, რა ხდება მსოფლიოში და რომლის შეფასებასა თუ პროგნოზს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დღევანდელი პოლიტიკური ელიტა.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა მოახსენა სტუმარს გულთბილი სიტყვებისათვის და, თავის მხრივ, ღრმა პატივისცემა გამოხატა მისი გერმანელი მეგობრებისა და გერმანელი ხალხის მიმართ.

შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ნორბერტ ბაასი.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

წინ... ცოტნესაკენ!

სიტყვა

ახლახან რეფორმატორთა კავშირის თაოსნობით დაარსდა საქართველოს ეროვნული გმირის ცოტნე დადიანის საქველმოქმედო ფონდი, რომლის თავმჯდომარედ არჩეული იქნა გამოჩენილი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი შოთა ნიშნიანიძე.

გთავაზობთ ბატონი შოთას სიტყვას, რომელიც მან ამას წინათ წარმოთქვა რეფორმატორთა კავშირის კონფერენციაზე.

აც უფრო დიდია ერის ისტორია, მით უფრო ძლიერად არის გადაჯაჭვული მისი დღევანდელობა წარსულთან. საქართველოს წარსული, როგორც მუზეუმი და ეკლესია, სავსეა ეროვნულ გმირთა და წმინდანთა ხატებით. ერთ-ერთი მათგანია სამეგრელოს მთავარი ცოტნე დადიანი, რომლის გმირობის არსი გამორჩეულად ესიტყვება დღევანდელი საქართველოს სულიერ მოთხოვნილებებს. ჯერ ზეპირსიტყვიერებას მივმართოთ, რომელიც ერის მხატვრული ცნობიერების საგანძურს წარმოადგენს. სწორედ ზღაპრებში, ლეგენდებსა და თქმულებებში ირეკლება ერის სულიერი ლტოლვები, მისი ფსიქოლოგია და ცხოვრებისეული საზრისები. ცოტნე დადიანის ფენომენის გაგებისათვის უპრიანი იქნება აქ მოვიძიოთ ეროვნული ხასიათების ფსიქოლოგიური რეალიები. საქართველოში ყველა ყრმა ქართულ ზღაპრებზე იზრდებოდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, ცოტნე დადიანიც. და აი ცოტნე დადიანის პიროვნებაში თავის გამოძახილს პოულობს ქართული ზღაპრების გმირების დადებითი თვისებები. ვიმეორებ: მხოლოდ დადებითი თვისებები.

ამირანის სახე ფიზიკური ძალის აპოლოგიაა, ნაცარქექიისა კი — მოხერხებულობისა. ამირანი მამაცი და უშიშარია, ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა ქომაგია, მზად არის თავი გასწიროს მოძმეების— ბადრისა და უსუპის გულისთვის. ებრძვის ბოროტ ძალებს, დევებს, ეშმაკებს, გველეშაპებს. მაგრამ ამირანი საოცრად პატივმოყვარეა და მთელ ქვეყანაზე პირველობა უნდა. იგი ისეა საკუთარ ძლიერებაში თავდაჯერებული, რომ გაუგონარ კადნიერებას სჩადის: ქრისტე ღმერთს გაუბედა დაჭიდება. ასეთი საქციელი სულაც არ მეტყველებს ამირანის გონიერებაზე. ამ ზღაპრიდან უნდა ამოვიკითხოთ ქართული შემოქმედებითი გენიის შეგონება, რომელიც ზეციური გამოცხადების უტყუარობით გვეუბნება: ქართველო, მოუხმე გონიერებას, ნუ იქნები ზედმეტად თავდაჯერებული, იცოდე შენი ადგილი სამყაროში, თუ არადა — დაისჯები. ამირანი თავისი თავქარიანობის გამო ისჯება, ნაცარქექია კი იმარჯვებს გონიერების წყალობით, რამეთუ ადამიანთა მთავარი ძალა გონიერებაა.

ამირანის მითის ბერძნულ ვერსიაში პრომეთეოსი კაცობრიობისათვის გაწეული დიდი სამსახურისთვის ისჯება — მან ადამიანებს ღმერთების საიდუმლო — ცეცხლი გადასცა — ცეცხლი — ყოველგვარი შემოქმედებისა და განვითარების ფენომენი. ქართველი ამირანი კი ბრიყვული და უზნეო საქციელისთვის დაისაჯა. უზნეობაა, როცა არა გაქვს ღვთის რიდი, მოკრძალება და თუ გნებავთ, შიში. გადმოვიტანოთ ახლა ეს მითიურ-მეტაფიზიკური პლასტები ქართულ რეალობაში: ამირანი საქართველოა, რომელმაც მრავალი უზნეობა, მრავალი სულმდაბლობა ჩაიდინა. ძარცვა-გლეჯა თავისთავად უზნეობაა, მაგრამ როცა ყელზე ჯვარი გკიდია და ისე ბანდიტობ, ეს უკვე ცხრაგზის უზნეობაა. უზნეობაა ჯინსის ქურთუკის გამო თანატოლისათვის ყელის გამოჭრა, უზნეობაა ბავშვების გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, მიცვალებულის სასახლის სახურავის მოპარვა, მკვდრის ამოთხრა სამარიდან და მისთვის ოქროს კბილების დაძრობა, უპატრონო მოხუცთა თავშესაფრის გაძარცვა-დარბევა, ჰუბერზე გადმოსული, გაწამებული შენიანების დაყაჩაღება და სხვა მრავალი...

ცნობილია, რომ გენი არ კვდება. გენი მემკვიდრეობით გადადის თაობიდან თაობაში საუკუნეების მანძილზე და იგი მარადიული ღირებულებების მქონე ფენომენია. და აი, მონღოლთა შემოსევიდან რვა საუკუნის შემდეგ, ცოტნე დადიანის გენი აღმოაჩნდა ერთ კეთილშობილ ახალგაზრდა კაცს გია აბესაძეს, როცა მან ამ რამდენიმე წლის წინათ, ქართველთა ძნელბედობის ჟამს, ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა საჯაროდ. ეს იყო კეთილშობილი სულის განწირული პროტესტი ქართული უგუნურებების წინააღმდეგ მიმართული. მას უნდოდა სატანური აგონიიდან გამოეფხიზლებინა კაენის ცოდვით დაბრმავებული მოძმეები. ეს იყო არნახული გმირობა — ჭეშმარიტად წმინდანთა საკადრისი. მაგრამ ეს გასაოცარი გმირობა ყოველგვარი ექოს გარეშე დარჩა: თანამედროვეებს არ სჯერათ ცოცხალი დიდი კაცისა, არ სჯერათ ცოცხალი დიდი შემოქმედისა. დიდი და ამაღლებული, მათი რწმენით მხოლოდ წიგნებში და წარსულშია! რა თქმა უნდა, ეს გმირობა ვერ იქნებოდა გაგებული იმ დღეებში, როცა ადამიანები მესაფლავის გულგრილობით იყვნენ შეპყრობილნი. მაგრამ ხვალ და ზეგ ანუ მაშინ, როცა მოვლენ ამაღლებულისა და მშვენიერის გამგები თაობები, დღევანდელობის ამ პარადოქსული ნაგავიდან ისინი ამოზიდავენ აბესაძის მოწამებრივ სიკვდილს, როგორც ქართველი კაცის ზნეობრიობის ხატს. ცოტნეურ ხატს!

ბერლინის მისადგომებთან 1945 წელს სანგრებში ჩახოცილ პირტიტველა გერმანელ ჯარისკაცებს ძველი ბერძნულისა და ლათინური ენის სახელმძღვანელოები აღმოაჩნდათ. რუსების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: რა დროს წიგნები იყო, სამყარო ინგრეოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, სხვანაირად ფიქრობდნენ კანტისა და გოეთეს შთამომავალნი, აი, ერი, აი ჭეშმარიტი გონიერება!

ქართველმა ერმა კი წიგნი გააგდო ხელიდან და სამაგიეროდ ავტომატი აიღო. მაგრამ ეს ავტომატი სად უფრო გამოიყენა — ყველასათვის კარგად ცნობილია. საერთოდ ერთმანეთს არ უნდა დავუპირისპიროთ წიგნი და იარაღი, რამეთუ წიგნიც იარაღია უფრო საშიში და უფრო ძლიერი. იარაღი გამარჯვებისთვის უნდა აისხა და არა დამარცხებისთვის. როგორც ამირანმა არ იცოდა ვინ გაიწვია საჭიდაოდ, ისე საქართველომ არ იცოდა, რა ძალას ებრძოდა აფხაზეთში. თუ იცოდა, მით უარესი. უგუნურებად და უზნეობად მიმაჩნია ქართველი კაცის მიმართება წესრიგისადმი, დისციპლინისა და კანონისადმი. ნაპოლეონი ბრძოლის ველზე დაჟინებით გზავნიდა ბრძანებებს: ჯარისკაცებო, თუ სანგრებს არ გაჭრით, მაშინ თქვენი საფლავები გაიჭრებაო! ჩვენს ჯარისკაცებს კი აფხაზეთში სანგრების გაჭრა ერცხვინებოდათ. სპარსეთის მეფე დარიოსს ერთი უმდიდრესი მეგობარი ჰყავდა. ბერძნებთან ომის დროს ამ კაცმა აურაცხელი ოქრო გაიღო სპარსეთის არმიისთვის, ოღონდ მეფეს სთხოვა ომში არ წაეყვანა მისი ერთადერთი ვაჟიშვილი. დარიოსმა შუაზე გააპობინა მეგობრის ვაჟი და ქალაქის კარიბჭეებზე აქეთ-იქით დააკიდებინა, შუაში კი საბერძნეთში მიმავალი ლაშქარი გაატარა. ასე დასაჯა დარიოსმა თავისი მეგობარი. საქართველოში კი არავინ დაუსჯიათ შვილების გადამალვისათვის. უფრო მეტიც, ზოგიერთი შვილგადამალული მამა სხვათა შვილებს აქეზებდა პატრიოტული ლოზუნგებით. საზოგადოებრივი კატაკლიზმების დროს ბრბოს საზრუნავი ძარცვა-გლეჯა, კრედიტების გატანა და სხვა ათასი ამგვარი მამაძაღლობაა. წიგნიერებასა და ხელოვნებას მომწყდარი ადამიანები ცხოველობისაკენ მიექანებიან. კატაკლიზმებს ეკონომიკური სიდუხჭირე მოჰყვება, სიდუხჭირეს კი სულიერი სიბრმავე. სწორედ ასეთ ეპოქაში წამოიყვირეს რუსეთში რევოლუციურმა მასებმა: რომელს მეტი ღირებულება აქვს — ჩექმებს თუ შექსპირსო. ამ მკრეხელური აზრის გაგება საქონელს რომ შეეძლოს, ისიც კი გაწითლდებოდა, არათუ ნორმალური ადამიანი. მაგრამ იმავე რუსეთში, აგერ სულ ახლო წარსულში, ღამეებს ათენებდა მთელი მოსკოვი პუშკინისა და მაიაკოვსკის ძეგლებთან გამართულ პოეზიის დღესასწაულებზე. რას იზამ, ასეთია ცხოვრება, ხან ასეა და ხან ისე. ზოგს ჩექმები ურჩევნია, ზოგს შექსპირი. გემოვნებაზე არ დაობენ. მე სულაც არ მიყვარს ბრბოს და რევოლუციონერების დამოკიდებულება ელიტისადმი. მაგრამ გულწრფელად მიკვირს და ძალიან მიკვირს საფრანგეთის რევოლუციური კონვენტისა, როცა მან საგანგებო ბრძანებულებით აკრძალა პოეტის გასვლა ბარიკადებზე, რისთვისაც გილიოტინით სიკვდილი ელოდათ. აი როგორ გაუფრთხილდა თავის პოეტებს საფრანგეთი — წიგნიერებისა და რევოლუციების ეს დიდი ქვეყანა. სულ ახლო წარსულში კი პრეზიდენტმა პომპიდუმ ფრანგული პოეზიის საკუთარი ანთოლოგია შეადგინა და სწორედ ამით უფრო დაამახსოვრა თავი ფრანგ ხალხს, ვიდრე სახელმწიფო საქმეებით. ანთოლოგიის გამოცემა პოეზიისადმი არამარტო მის სიყვარულს ნიშნავდა, არამედ მწერლობაზე სახელმწიფოებრივ მზრუნველობასაც. სახელმწიფო თავკაცის ასეთი საქციელის წყალობით ლიტერატურას უფრო მეტი პატივისცემით მოეპყრობიან როგორც უბრალო მოკვდავები, ისე ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

ეს დეტალები იმიტომ მოვიტანე, რომ წამიერად მაინც შემეხსენებინა თქვენთვის ჩვენი სახელმწიფოს მიერ ღვთის ანაბრად მიტოვებული ქართული მწერლობის მდგომარეობა. სახელმწიფო მეთაურის პირადი ძალისხმევა კი, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია. ბევრი კულტურის გადარჩენაზე ლაპარაკი, საქმე კი ცოტა. სტრაბონის ნათქვამია: „დამარცხებულმა საბერძნეთმა კულტურით დაიპყრო გამარჯვებული რომის იმპერიაო“. დიახ, მტრის დამარცხება კულტურითაც შეიძლება, ზნეობრიობითაც, მოხერხებითაც და არამარტო სამხედრო ძლიერებით. საქართველოს ისტორია ერთი გაბმული გმინვაა და ამ გმინვიდან კანტიკუნტად გაისმის ვაშა და ძლევის ყიჟინა. ერთი ასეთი ვაშაა ცოტნე დადიანის გმირობა — მტერზე უმსხვერპლოდ, უიარაღოდ გამარჯვების გასაოცარი შემთხვევა. ცოტნე დადიანი თავისი ფეხით მივიდა მონღოლთა მიერ შეპყრობილ შეთქმულ ქართველებთან და მათი ბედი გაიზიარა. მონღოლებმა გაიგეს და კიდეც დაუფასეს უცხო ტომელ კაცს გმირობა და რაინდობა. ეს მოხდა მეცამეტე საუკუნეში, ხოლო მეოცე საუკუნის ბოლოს, როცა ცოტნეს გენის მატარებელმა კაცმა ძმათა გასაშველებლად თავი დაიწვა, ეს არნახული გმირობა საქართველომ ვერ დაინახა, არადა, ცოტნეს გმირობაზე უფრო ადვილდასახანი გია აბესაძის გმირობა იყო. ის, რაც მომთაბარე მონღოლებმა გაიგეს, დღევანდელმა ქართველობამ ვერ გაიგო. ვიმეორებ: იმ დროს საქართველო ბრბოს ფსიქოლოგიით იყო დაავადებული. ბრბოსთვის კი ამაღლებულისა და მშვენიერის კატეგორია გაუგებარია!

მხატვარი ზურაბ კაპანაძე.

ქართველი კაცი რომ ბუნებით უზნეო და აგრესიული იყოს, მაშინ საქართველო ასე მრავალეროვანი ვერ იქნებოდა. ამირანის ერთ-ერთი ერთგული არაქართველი უსუპია. ქართველთა მეფეები დიდ პატივს სცემდნენ არაქართულ მოსახლეობას. თბილისში მტკვრისპირად, ერთ მტკაველ მიწაზე სხვადასხვა სალოცავ-ეკლესიების არსებობა განა თავისთავად არ მეტყველებს ქართველთა შემწყნარებლობაზე, კაცთმოყვარეობასა და ზნე-კეთილობაზე? გავიხსენოთ აბოს ამბავი. არაბი ყმაწვილი ისე მოიხიბლა ნერსე ერისთავითა და მისი ახლობლებით, რომ სამშობლოში დაბრუნება აღარ ინდომა და ქართველებს გამოჰყვა საქართველოში. აბომ ქართველთა სიყვარულის გამო ქრისტიანობაც მიიღო და მოწამებრივი სიკვდილიც აღესრულა ქართველებისთვის. „სტუმარი ღვთისაა“! — ასეთი გამოთქმა არცერთ ერს არ მოეპოვება და იგი ქართველი ერის ფსიქოლოგიური კოდის მატარებელი ფორმულაა. ქართველი კაცი გულგაშლილი და ბედოვლათობამდე გულუხვია. აქ ჩამოსულებს არასდროს იპყრობს გაუცხოების განცდა. აქ ყველა მასპინძელივით ცხოვრობს. თუ ქართველს სხვისი პატივისცემის საშუალება არა აქვს, ღირსებაშელახულია, აღრენილია და მასში მგელი იღვიძებს.

სამწუხაროდ, სიდუხჭირისაგან, ცხოვრებისაგან დაწიხლულ ბევრ ქართველს ურჩევნია მოძალადე იყოს, ვინემ პატიოსანი მათხოვარი.

საქართველო არ არის ჩვეულებრივი, სტანდარტული ქვეყანა, საქართველო პიროვნებების ქვეყანაა, ინდივიდთა მდრტვინავი ბაბილონის გოდოლია და სხვა ქვეყნების მიერ ნაცადი ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრუქტურები აქ სხვა შედეგებს იძლევიან, რომელთა წინასწარი შეცნობაც შეუძლებელია. ბედისწერამ პატარა საქართველოს პაწაწკინტელა როლი არგუნა, მსოფლიო არენაზე ქართველი პოლიტიკოსები კი ამირანობას ცდილობენ, ცდილობენ ის როლი ითამაშონ, რასაც მსოფლიო გიგანტები თამაშობენ. თუ მეტაფორულად ვიტყვით, საქართველო უმშვენიერესი შვლის ნუკრია, რომელსაც ვეფხის გული უდგას, ან მგელია, ლომისგულიანი მგელი და ჩვენი ეროვნული ტრაგედიაც ეს არის. უნდა ვიცოდეთ: ვერც შველი და ვერც მგელი ვეშაპს ვერ შეაშინებს, უნდა ვიცოდეთ ვის ვეომოთ, უფრო სწორად, ვის არ ვეომოთ. ომით მხოლოდ საკუთარ თავს უნდა ვეომოთ, საკუთარ ბაქი-ბუქსა და სისუსტეებს. საერთოდ, პოლიტიკოსობა ყველას საქმე არ არის. პოლიტიკოსობა რჩეულთა შორის რჩეულების საქმეა. პოლიტიკოსობა მოწოდება და ბედისწერაა. იგი მხოლოდ დიდი პიროვნებების უფლებაა, იმის უფლებაა, ვინც სხვაზე უფრო კარგად აღზრდილია, სხვაზე უფრო განათლებული და გონიერია. ნიცშე ამბობდა: „როცა ერთი კაცი გიჟდება, ამას უბრალოდ სიგიჟე ჰქვია, ხოლო როცა ყველა გიჟდება — რევოლუციაო“. მართლაც ასეა: ყველას პოლიტიკოსობა ტრაგედიაა, რიგითი კაცის პოლიტიკოსობა — ტრაგიკომედია, ანუ ყვარყვარიზმი. რიგითები სკიპტრისა და სავარძლებისკენ ისწრაფიან. ეს ჯადოსნური სკიპტრა ყველას იზიდავს, დიდსა და პატარას, ბრძენსა და სულელს. იგი ბალღისთვის სათამაშოა, ნერონის ხელში ნაჯახია, ხოლო პიროვნების მოღვაწეობაში — ისტორიის ბერკეტი. ეს ქრესტომათიული ჭეშმარიტებანი იმისთვის გავიხსენე, რათა ასეთი კითხვა დამესვა: პოლიტიკოსთა არმიიდან (რომელთა პატრიოტობაშიც ეჭვი სულაც არ მეპარება) ვის შეუძლია გასწიოს ცოტნეობა? ვისაც შეუძლია, აი, ის არის ღირსი, იყოს ლიდერი პოლიტიკაში.

ზეპირსიტყვიერებაში, როგორც ზემოთ ითქვა, არაფერია შემთხვევითი. პირიქით, იქ ყოველი დეტალი ბედისწერითია და მეტაფიზიკური მნიშვნელობით არის გააზრებული. ამირანი საქართველოა თავისი ავ-კარგითა და სისუსტეებით, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, როგორც მითი და ზღაპარი ამბობს, ღვთის ნათლულია — სამყაროს შემოქმედმა თავისი დიდი მადლი დაანათლა: ქართველი ერი შემოქმედი ერია თავისი დიდი ხელოვნებით: თეატრალური ნიღბებით, მხატვრობით, მუსიკითა თუ მწერლობით.

მე მინდა საქართველო ამირანივით ძლიერი, დევების დამჯაბნელი, ნაცარქექიასავით მოხერხებული, მე მინდა საქართველო დავით აღმაშენებლივით შეუვალი და ცოტნე დადიანივით ზნეობრივი.

ჩემი აზრით, ცოტნე დადიანის მომავალი ძეგლი ისეთ ადგილას უნდა დადგას საქართველოს დედაქალაქში, სადაც ქართულ ჯარს საშუალება ექნება გაშლილი ფრონტით ჩაუაროს თავის დიდ წინაპარს, მუხლი მოიყაროს და სამშობლოს ერთგულების ფიცი დასდოს მის წინაშე!

დიახ, საქართველომ წიგნი მოისროლა და მახვილი აიღო. ახლა საქართველო ვადაში გადამტყდარი მახვილით დგას მომავლის წინაშე. ვადაში გადამტყდარი მახვილი ჯვარსა ჰგავს! და უკვე ჯვარია, ჯვარი — მახვილის უარმყოფელი. ეს ზეციური მინიშნებაა: საქართველომ უნდა იაროს იმ გზით, რომელსაც ჯვარი მიგვასწავლის: სიყვარულის გზით, ზნეობის გზით, მოყვასთა ერთიანობის გზით!

მსოფლიოს ახალი ამბები

ჩინეთი აყალიბებს პირველ საერთაშორისო ბანკს

ჩინეთში შეიქმნა პირველი საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი, სახელწოდებით „ჩაინა ინტერნეშნლ კეპიტალ კორპორეიშნ“. ახალი ბანკი არის ერთობლივი საწარმო, რომლის აქციების უდიდესი პაკეტები ეკუთვნით ჩინეთის „სახალხო-სამშენებლო ბანკს“ (42,5 პროცენტი) და ამერიკის ბანკ „მორგან სტენლის“ (35 პროცენტი). პეკინი ერთობლივ საწარმოს განიხილავს როგორც საცდელ ნაბიჯს ფინანსური სექტორის ფრთხილი ლიბერალიზაციის გზაზე.

გერმანიის საავტომობილო სამიტმა ბოიკოტი გამოუცხადა უცხოელებს

წამყვან გერმანელ პოლიტიკოსთა და საავტომობილო მრეწველობის ხელმძღვანელთა სამიტს, რომელიც მიზნად ისახავდა გასაღების მოცულობის გადიდებას, ერთგვარი ჩრდილი მიაყენა სკანდალმა, იმით გამოწვეულმა, რომ კომპანიების „ფორდისა“ და „ადამ ოპელის“ (ამერიკული „ჯენერალ მოტორსის“ შვილეული საწარმო) ხელმძღვანელები მიწვეულნი არ იყვნენ შეხვედრაზე. ორივე კომპანიას მიაჩნია, რომ ისინი სამიტზე არ დაუშვეს, რადგან უცხოურ კაპიტალს მიეკუთვნებიან.

„დელ კომპიუტერმა“ მიზანში ამოიღო აზია

„დელ კომპიუტერი“ უახლოეს სამ წელიწადში 100 მილიონ დოლარს აბანდებს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში თავისი პროდუქციის წარმოებისა და გასაღების სიმძლავრეთა შესაქმნელად. პერსონალური კომპიუტერების ამ ამერიკულ მწარმოებელს განზრახული აქვს მიაღწიოს იმას, რომ ხუთი წლის შემდეგ რეგიონმა უზრუნველყოს კომპანიის საერთო გასაღების 30 პროცენტი. ამ დროისათვის „დელის“ ბრუნვა ალბათ 10 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

ბრიტანეთის რკინიგზებს გაფიცვები აღარ ემუქრება

ბრიტანეთის რკინიგზებზე გაფიცვებისა და უწესრიგობის საფრთხემ უკან დაიწია მას შემდეგ, რაც მემანქანეთა პროფკავშირმა მიიღო დაზავების გადამუშავებული პირობები, რომელიც ეროვნულმა კომპანია „ბრიტიშ რეილიმ“ წამოაყენა. შეთანხმების თანახმად, მემანქანეთა საბაზო სამუშაო კვირა ორი საათით — 37 საათამდე შემცირდა, ხელფასი კი სამი პროცენტით გაიზარდა. მომავალ წელს პროფკავშირებს მოუწევთ ცალკე მოლაპარაკებების წარმოება თითოეულ კომპანიასთან, რომლებიც წარმოიქმნება „ბრიტიშ რეილის“ პრივატიზაციის შედეგად.

აშშ ეკონომიკაში მოსალოდნელია ზომიერი ზრდა

წლის მეორე ნახევარში აშშ ეკონომიკა ალბათ ზომიერი ტემპებით გაიზრდება, ინფლაციის დონე კი დაიწევს, მიუხედავად იმისა, რომ მეორე კვარტალში თავი იჩინა სისუსტის ნიშნებმა. ვაჭრობის სამინისტროს ცნობით საცალო ვაჭრობის მოცულობა ივლისში 0,1 პროცენტით შემცირდა, თუმცა, თუ ავტომობილების გაყიდვას არ გავითვალისწინებთ, მაშინ ეს მაჩვენებელი 0,4 პროცენტით გაიზარდა. ექსპერტების აზრით, აშშ ეკონომიკა მეორე კვარტალში, წლიური გაანგარიშებით, 2-3 პროცენტით გაიზრდება, რაც შეესაბამება ქვეყნის პოტენციალს.

არგენტინა შეუდგა საგადასახადო პოლიტიკის კორექტირებას

არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა გამოაცხადა უმუშევრობისა და გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ახალი პაკეტი მას შემდეგ, რაც მთავრობამ განაცხადა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი აღარ მოითხოვს წლიური ბიუჯეტის უფრო დიდი დადებითი სალდოს მიღწევას. უფრო ადრე ეკონომიკის მინისტრმა დომინკო კავალიომ გამოაცხადა, რომ შემსუბუქდება სასჯელი გადასახადების დაგვიანებით გადახდისათვის, რაც, მისი აზრით, დამატებით ორ მილიარდამდე დოლარის შეგროვების შესაძლებლობას შექმნის. მომავალი წლიდან საშემოსავლო გადასახადის მინიმალური განაკვეთი 11-დან 6 პროცენტამდე შემცირდება.

კანადელ მეთევზეებს ორაგული შემოაკლდათ

კანადამ დახურა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ორაგულის გადამამუშავებელი საწარმო იმის გამო, რომ ბრიტანეთის კოლუმბიაში მდებარე მდინარე ფრეიზერში მოულოდნელად შემცირდა ამ თევზის მარაგი. ფრეიზერთან მდებარე თევზის გადამამუშავებელი საწარმო კანადის დასავლეთ სანაპიროზე ორაგულის მთელი გადამუშავების ნახევარს უზრუნველყოფდა. როგორც ფიქრობენ, ეს ნაბიჯი ადგილობრივ თევზის ინდუსტრიას 46 მილიონ დოლარად დაუჯდება და ათასობით მეთევზეს, სპორტულ თევზჭერას და აბორიგენ ადგილობრივ ტომებს დააზარალებს.

აშშ ისევ პირველი იქნება ბამბის ექსპორტში

შეერთებული შტატები სამარკეტინგო წელიწადში (რომელიც 1 აგვისტოს დაიწყო) შეინარჩუნებენ ბამბის მსოფლიო ვაჭრობის 28 პროცენტს, იტყობინება აშშ სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ამერიკის ბამბას კვლავ უპირატესობას აძლევენ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა მცირდება. ინდოეთი, პაკისტანი, მექსიკა, თურქეთი და ჩინეთი, ამერიკული ბამბის უდიდესი მყიდველი, შეამცირებენ იმპორტს. ასევე მოელიან, რომ, პირველად 1990-91 სამარკეტინგო წლიდან, შემცირდება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ექსპორტი.

ელექტრონული გიგანტების კონკურენციის ახალი სფერო

საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის წამყვანი იაპონური დაჯგუფება „მაცუსიტა“ პირველი კომპანიაა, რომელიც გამოვა ციფრული ვიდეოკამერების ახალ ბაზარზე და მომდევნო თვეში იაპონელ მყიდველებს შესთავაზებს ახალ მოდელს „პანასონიკის“ სავაჭრო მარკით. ერთი კვირის დაგვიანებით ციფრულ ვიდეოკამერებს იაპონიაში გასაყიდად გამოუშვებს „სონი“, „მაცუსიტას“ მთავარი კონკურენტი.

„ფინანსოვიე იზვესტიის“, „აგენსტვო პეჩატისა“ და „ფაინენშლ ტაიმსის“ მასალების მიხედვით.

ნომრის თემა

საქართველო ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

სოციალური და შრომითი ურთიერთობების რეგულირების სამმხრივი რესპუბლიკური კომისიის შექმნის შესახებ

„სოციალური პარტნიორობისა და შრომითი დავების შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან, პროფკავშირებისა და მეწარმეთა რესპუბლიკურ გაერთიანებებთან შეთანხმების თანახმად:

1. 1996 წლისათვის გენერალური და დარგობრივი სატარიფო შეთანხმებების განხილვისა და ხელმოწერის, შრომითი დავების მოწესრიგების მიზნით შეიქმნას სოციალური და შრომითი ურთიერთობების რეგულირების სამმხრივი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მხრივ:

ი. მენაღარიშვილი — კომისიის კოორდინატორი, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე

ვ. ახათიანი — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი

თ. გაზდელიანი — საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ზ. ბეგეჭკორი — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი

დ. იაკობიძე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი

ა. კავსაძე — საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე

თ. კვაჭანტირაძე — საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი

ვ. ქერესელიძე — საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი

თ. ნინიძე — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი

ვ. პაპავა — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი

ა. სილაგაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი

ა. ჯორბენაძე — საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების მხრივ:

რ. ბუგიანიშვილი — რკინიგზელთა და სატრანსპორტო მშენებელთა დამოუკიდებელი პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარე

ზ. დიდიშვილი — კავშირგაბმულობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

გ. ქერესელიძე — მედიცინის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე

მ. კობახიძე — განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

ნ. ლაკია — საფეიქრო, სამკერვალო, ტრიკოტაჟის, ტყავ-ფეხსაცმლისა და მრეწველობის მონათესავე დარგების მშრომელთა პროფკავშირის ფედერაციის თავმჯდომარე

ვ. მაჭავარიანი — სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

ზ. ხარაიძე — მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

რ. ურჯუმელაშვილი — სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

გ. ფხაკაძე — ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

გ. ლამბაშიძე — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე

ს. ხატიაშვილი — კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს მეწარმეთა გაერთიანებების მხრივ:

ბ. ჭუღელი — მრეწველთა კავშირის პრეზიდენტი, შპს „მეგასტანდარტის" გენერალური დირექტორი

თ. ბეჟანიშვილი — „თბილხელსაწყოს" დირექტორი

ბ. ბოკერია — საწარმოო გაერთიანება „ტაქომეტრიის" დირექტორი

ბ. ზარნაძე — მეწარმეთა და მეიჯარეთა კავშირის თავმჯდომარე

ა. ქვარაცხელია — შპს „ამირანის" გენერალური დირექტორი

ო. მაისაშვილი — ფაბრიკა „სიხარულის" დირექტორი

გ. მეზუკი — გაერთიანება „ცისარტყელას" გენერალური დირექტორი

ზ. ქორიძე — შპს „ლელოს" გენერალური დირექტორის მოადგილე

თ. ცინცაძე — „ოქსინის" დირექტორი

ზ. ცქიტიშვილი — კერძო საწარმოთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, „ამალთეის" გენერალური დირექტორი

ნ. ხვთისიაშვილი — მეწარმეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, შპს „სამების" გენერალური დირექტორი

მ. ჯაფარიძე — მეწარმეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, გრეხილი ავეჯის ფაბრიკის დირექტორი.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ერთი კვირის ვადაში დაამტკიცოს სოციალური და შრომითი ურთიერთობების რეგულირების სამმხრივი რესპუბლიკური კომისიის დებულება, აგრეთვე 1996 წელს გენერალური შეთანხმების მომზადების, ხელმოწერის, დარგობრივი სატარიფო შეთანხმებების განხილვისა და შრომითი დავების მოწესრიგების წესის დებულება.

3. სოციალური და შრომითი ურთიერთობების რეგულირების სამმხრივი რესპუბლიკური კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში პროფკავშირებსა და მეწარმეთა რესპუბლიკურ გაერთიანებებს ცალკეულ შემთხვევებში მიეცეთ წარმომადგენელთა დელეგირების უფლება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

„საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 8 იანვრის 3 და 1994 წლის 4 მარტის 67 ბრძანებულებებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 27 ივლისის 289 ბრძანებულებაში და „რესპუბლიკის ნავთობპროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების დროებით ღონისძიებათა შესახებ". საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 4 მარტის 67 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანისა და ვადის გაგრძელების თაობაზე

1. „საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 8 იანვრის 3 და 1994 წლის 4 მარტის 67 ბრძანებულებებში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 27 ივლისის 289 ბრძანებულების პირველ პუნქტში სიტყვები „15 აგვისტომდე" შეიცვალოს სიტყვებით „პირველ დეკემბრამდე".

2. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტმა (გ. მამულაშვილი) მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოს ნავთობპროდუქტების ჩვეულებრივი წესით დაბეგვრის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება. აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობა მოახსენოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე.

3. „რესპუბლიკის ნავთობპროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების დროებით ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 4 მარტის 67 ბრძანებულების პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „გარდა სახელმწიფო კონცერნ საქნავთობპროდუქტებისა".

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 17 აგვისტო.

მშობლიურ მიწას მიაბარებენ

საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით, 19 აგვისტოს, საღამოს, ესპანეთიდან ჩამოასვენებენ მისი სამეფო უმაღლესობის თავად გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელისა და მისი სამეფო უმაღლესობის თავადის მეუღლის ელენე ბაგრატიონ-მუხრანელის ნეშტს საქართველოში და დაასვენებენ სიონის საკათედრო ტაძარში. კვირას, 20 აგვისტოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გადაიხდის პანაშვიდს. ყოველდღიურად შესრულდება პანაშვიდები მცხეთა-თბილისის სამღვდელოების მიერ. 1 სექტემბერს სამეფო ნეშტებს გადაასვენებენ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში.

დაკრძალვა მოხდება 2 სექტემბერს სვეტიცხოვლის ტაძარში.

რუსეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის დედა, მისი სამეფო უმაღლესობა დიდი მთავარი ლეონიდა საქართველოში ჩამობრძანდება 30 აგვისტოს.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი

სიტუაცია ეკონომიკაში

როცა მდიდარი ვალებში იხრჩობა

რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ თითქმის ყველა საწარმოს გაუჩინა საზრუნავი. ამიტომ დღეს საკუთარ გასაჭირზე მოთქმა-ვიშვიშით ვერავის გააკვირვებ, თუმცა თბილაბრეშუმის საქციო საზოგადოება „ცისარტყელა" ამ მხრივ (სამწუხაროდ, ამ დღეში მარტო ეს საწარმო არ არის) მაინც იქცევს ყურადღებას. როგორც იტყვიან, ფაქტი ბრძოლად ღირს.

ამიტომაც საწარმოს გენერალური დირექტორის გოდერძი მეზუკისა და საწარმოს მუშაკების შეშფოთება თანაგრძნობას იმსახურებს.

ერთ დროს სახელმოხვეჭილი საწარმო, რომლის პროდუქციასაც ხშირად მიუღია საერთაშორისო დიპლომები, დღეს მძიმე მდგომარეობაშია. ამ რამდენიმე წლის წინათ აქ 1500 კაცი მუშაობდა, დღეს 650-მდე მუშაკიღაა შემორჩენილი და ისინიც არ არიან სრულად დატვირთული. საწარმო ადრე ყოველთვიურად ორ მილიონნახევარ გრძივ მეტრ ქსოვილს უშვებდა, შარშან კი მხოლოდ 404 ათასი მეტრი დაამზადა. მაგრამ ნედლეულის, ელექტროენერგიის უქონლობის და სხვა მიზეზების მიუხედავად, საწარმომ შარშანდელი სამეურნეო წელიწადი მაინც 280 მილიარდი კუპონის მოგებით დაამთავრა. წლევანდელი 6 თვის შედეგებიც, შეიძლება ითქვას, დამაკმაყოფილებელია. უკვე 20 მილიარდი კუპონი მოგება აქვს. აქედან გამომდინარე, საწარმოს ფინანსური საქმე მოწესრიგებული უნდა ჰქონდეს, მაგრამ, იგი დღეს მაინც თითქმის გადაულახავი სიძნელეების წინაშე დგას. ნედლეულის შესყიდვაზე რომ აღარაფერი ითქვას, თანამშრომელთა ხელფასის გაცემაც უჭირს. მევალეების გამოისობით ვალებში იხრჩობა.

შარშან მთავრობის დავალებით საწარმომ ბუნებრივი გაზის დავალიანების დასაფარავად თურქმენეთში 390 მილიარდი კუპონის ქსოვილი გადაგზავნა. საფასურის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობას მთავრობა კისრულობდა, მაგრამ ბოლო მომენტში პირი გატეხა, ფული დროულად არ გადაიხადა.

„ცისარტყელა" მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იანვარში ხელფასები ვერ გასცა. იძულებული შეიქნა ბანკიდან 65 მილიარდი კუპონი 15-პროცენტიანი სესხი აეღო, იმ იმედით, რომ კუთვნილ თანხას დროზე დაუბრუნებდნენ, ვალსაც დაფარავდა და...

მთავრობამ კვლავ არ შეასრულა პირობა, ამიტომ საწარმომ სესხი თავის დროზე ვერ დაფარა და ვალი 65 მილიარდიდან 122 მილიარდამდე გაიზარდა.

კარდაკარ სიარულმა, ბოლოს, როგორც იყო, შედეგი გამოიღო: 390 მილიარდიდან 110 მილიარდი დაუბრუნეს, ზოგიც გახარჯულ ელექტროენერგიასა და სხვა რამებში გამოუქვითეს, მაგრამ ამ თანხით ვალის სრულად გადახდა, ბუნებრივია, ვერ მოხერხდა. საწარმოს 20 მილიარდი ისევ დარჩა გადასახდელი. ეს თანხა თანდათან იზრდება.

ერთი სიტყვით, თბილაბრეშუმმა ორიოდე თვეში, ჯერჯერობით, 65 მილიარდი კუპონი იზარალა.

— ეს თანხა, — ამბობს გენერალური დირექტორი, — ხელი რომ არც გაგვენძრია, მთელი წლის განმავლობაში ხელფასის გასაცემად გვეყოფოდა.

საწარმოს ხელმძღვანელობა ახლა იმით ინუგეშებს თავს, რომ ქალაქის მერის ნიკო ლეკიშვილის დახმარებით 50 მილიარდი კუპონი 2-პროცენტიანი სესხი მიიღო. ამოსუნთქვის საშუალება მიეცემათ, თუმცა, ამ თანხის დიდი ნაწილიც ვალების დაფარვას მოხმარდება. მაგრამ მაინც...

ყურადსაღები დეტალი:

საწარმოს, რომლის ვალი მთავრობას მილიარდობით აქვს, ბიუჯეტის თავად მართებს 35 მილიარდი კუპონი, რისთვისაც (ზემოთ ვთქვი, რატომაც ვერ ფარავს იგი ამ ვალს), 10-პროცენტიანი ჯარიმა ერიცხება და იგი კიდევ უფრო ზარალდება.

ბიუჯეტის გადასახადის გადაუხდელობის გამო (ეს მართლაც არავის ეპატიება) მას აჯარიმებენ. მაგრამ ვინ დააჯარიმოს საწარმომ?

ამას გარდა, ხაზინის სასარგებლოდ საწარმოს გადასახდელი აქვს საბალანსო მოგების 10 პროცენტი, გადატვირთული პროდუქციის დამატებითი ღირებულების — 20 პროცენტი, დარიცხული ხელფასის — 37 პროცენტი, სასაქონლო პროდუქციის, დასაქმების ფონდის, ძირითადი ღირებულების, წყლის, ელექტროენერგიის, გაზის, მიწის.. რა ვიცი, კიდევ რის აღარა!

აი, ასეთია ფინანსური ყულფი, რომელიც სულ უფრო ვიწროვდება.

რა ქნას მწარმოებელმა?

რა და, უნდა დამალოს შემოსავლები, მოიპაროს საკუთარი ქონება, სხვისიც (გაზი, წყალი, ელექტროენერგია), მიმართოს ათასგვარ მანიპულაციებს, რათა არ გაკოტრდეს.

საბოლოო ჯამში კი ზარალდება ქვეყანა.

• • •

ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველოს მსუბუქ მრეწველობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა. ეს დარგი ჩვენში, ასე ვთქვათ, ყველა სხვა დანარჩენთან შედარებით, ტრადიციულად უფრო განვითარებული იყო. ძნელად მოიძებნებოდა რაიონი ან დაბა, სადაც ამ პროფილის თუნდაც ერთი პატარა საწარმო არ ყოფილიყო. დღეს მათი უმეტესობა გაჩერებულია. თითქმის ყველა ერთი მიზეზით — ნედლეულის უქონლობის გამო.

საქართველოში აბრეშუმის მრეწველობისთვის საჭირო ნედლეულის ბაზა თითქმის არ არსებობს. ხელოვნურ აბრეშუმს საერთოდ არ ვაწარმოებთ. იგი რესპუბლიკაში ძირითადად შუა აზიიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან შემოჰქონდათ. ადგილობრივი, ნატურალური აბრეშუმის ხვედრითი წილი 7-8 პროცენტს ვერ სცილდებოდა, დღეს ესეც სანატრელი გახდა.

საწარმოს უფულობის, უტრანსპორტობისა და დიდი ხარჯების გამო, რაც პროდუქციის თვითღირებულებას უსაშველოდ ზრდის, ნედლეულის შემოტანა უჭირს. რესპუბლიკაში კერძო პირებისგან ამ ნედლეულის შოვნა შეიძლება და საკმაოდ დიდი რაოდენობითაც (საუბარია არა ნატურალურ, არამედ ხელოვნურ აბრეშუმზე), მაგრამ იმავე უსახსრობისა გამო, ვერ ყიდულობენ.

ცალკე პრობლემაა, მზა პროდუქციის გასაღება. ეს საბაზრო ეკონომიკის თანმდევი და მეტად მტკივნეული პროცესია. ბატონ გოდერძი მეზუკის აზრით, ამ ბარიერის დასაძლევად საჭიროა გადავჩვეოთ უხარისხო პროდუქციის წარმოებას, მაგრამ მოძველებული ტექნოლოგიებით ამის მიღწევა შეუძლებელია.

სად არის გამოსავალი?

უცხოური ინვესტიციები, — იტყვის მავანი. თუ ჩვენს დღევანდელობას თვალს მივადევნებთ და ბაზარსაც გადავხედავთ, გამოჩნდება, რომ უცხოელებს აქ თავიანთი იაფფასიანი (ჩვენთან ძვირად რომ იყიდება), საქონლის გარდა არაფერი შემოაქვთ. ეს უფრო აძლევთ ხელს. ჩვენთან მათთვის მშვენიერი, ხელსაყრელი ბაზარია. ადგილობრივი პროდუქცია გაუწევს კონკურენციას, თუ ვინმე შეზღუდავთ რამით?

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთმა ინგლისს ბლოკადა გამოუცხადა: საერთოდ აკრძალა ინგლისის მანუფაქტურებში დამზადებული პროდუქციის იმპორტი. საფრანგეთმა ეს გააკეთა ერთი უბრალო, მაგრამ ეფექტიანი ღონისძიების გამო: უცხოური იაფფასიანი ნაწარმისგან გაათავისუფლა თავისი ბაზარი, სტიმული მისცა საკუთარი წარმოების განვითარებას და თავისი მეწარმე პრივილეგიურ პირობებში ჩააყენა. ასეთი პროტექციონისტული მეთოდი დასავლეთში დღესაც ეფექტიანად გამოიყენება. ევროპის ქვეყნებში მსუბუქი მრეწველობის საქონელზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეტანაზე იმხელა ბაჟია დაწესებული, რომ თუ მართლაც გამორჩეული და საუკეთესო ხარისხისა არ არის, ადგილობრივ ნაწარმს, უსაშველო ფასის გამო, კონკურენციას ვერ გაუწევს. ერთი ხანია, ეს რუსეთის მთავრობამაც გააკეთა..

ამ გამოცდილების გაზიარება არც ჩვენ გვაწყენდა. მანამდე მაინც, ვიდრე ჩვენი მსუბუქი მრეწველობა წელში გაიმართება. საქართველოში ამ სახის ნაწარმის შემოტანა უნდა შეიზღუდოს, გართულდეს. საამისოდ არსებობს მრავალი მექანიზმი, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება. პირიქით, საკუთარი ბაზრის დაცვისთვის სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა ადგილობრივ მეწარმეს პროდუქციის წარმოების, რეალიზაციის მეტი გასაქანი მისცეს. დაეხმაროს და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი. მაშინ ქართული შიფონი თუ აბრეშუმი გერივით აღარ ამოუდგება გვერდით უცხოურ საქონელს, მაშინ მეწარმეს ფულიც გაუჩნდება და წელშიც გაიმართება, აღარც ასეთ მეწარმეთა ქვეყანას ექნება საქმე სამოწყალოდ.

შოთა მაჭარაშვილი.

ადამიანი დროში

ეპოქის ოდისეა

ჭაბუა ამირეჯიბის ახალი რომანი — „გორა მბორგალი"

ეს იყო ათიოდე წლის წინათ, მაშინ პირველად მოვინახულე გიზეხის განთქმული პირამიდები — ერთ-ერთი სამყაროს შვიდ საოცრებათაგანი, ქაიროს მახლობლად, ნილოსის მარცხენა ნაპირზე რომ არის აღმართული. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მათ ჩემში ლიტერატურული ასოციაციები გამოიწვიეს. ხეოფსის გრანდიოზული პირამიდა წარმოვიდგინე, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ამა თუ იმ დიდი მწერლისა, მაგალითად, ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა", მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი" ან კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა", ხოლო ხეფრენისა და მენკერის პირამიდები — ამავე ტიტანების თუმცა სრულყოფილ, მაგრამ ნაკლებად მასშტაბურ ქმნილებებად აღვიქვი, მაგრამ ლიტერატურასა და ხელოვნებას თავი რომ დავანებოთ, ბუნებაშიც ხომ არ არსებობს ისეთი ქედი, რომლის ყველა მწვერვალი თანაბარი სიმაღლისა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მათგანი თავისებურად განუმეორებელი და შთამბეჭდავია.

ეს, შეიძლება უცნაური ასოციაცია ამდენი წლის შემდეგ უნებურად გამახსენდა, როცა ბატონ ჭაბუა ამირეჯიბისაგან ძღვნად მივიღე კარგა მოზრდილი, 660-გვერდიანი წიგნი — „აგური". მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ „დათა თუთაშხია" ამ უნიკალური მწერლის, ჩვენი ცოცხალი კლასიკოსის, შემოქმედების მწვერვალია, მისი, ასე ვთქვათ, ხეოფსია, მაგრამ თურმე, როგორც ბევრი სხვა, ვცდებოდი. მწერლის ამა თუ იმ ნაწარმოების შეფასება ავტორის სხვა ქმნილებებთან ზედმიწევნითი შედარებისა და შეპირისპირების მეშვეობით — საბოლოო ჯამში დილეტანტიზმია. ყოველ წიგნს, როგორც ყოველ ადამიანს, თავისი ბედი აქვს, თავისი დანიშნულება და მისია. შეიძლება ვილაპარაკოთ მასშტაბურობაზე, მწვერვალის სიმაღლეზე. „დათა თუთაშხია" ითარგმნა და დაისტამბა მსოფლიოს 29 ენაზე. ამ რომანის კონვერსიამ მრავალი, როგორც იტყვიან ხოლმე, ახლო და შორეული უცხოეთის ეკრანი მოიარა.

რას ნიშნავს თითქოსდა ალიტერაციის პრინციპით შერჩეული სიტყვები „გორა მბორგალი" და რა პრობლემას მიუძღვნა მწერალმა თავისი ახალი რომანი? გმირის მეტსახელი „გორა" ქართული იაგორისაგან არის წარმოქმნილი, ხოლო შენაცვლებული გვარი „მბორგალი" ბორგვიდან მომდინარეობს. გორა მბორგალი, იგივე იაგორ კარგარეთელი, რომანის ავტორის ბედისა და მრწამსის თანაზიარია, თუმცა მათი სრული იდენტურობა სადავოა.

რაზეა დაწერილი რომანი — მასობრივ რეპრესიებზე და ტოტალიტარიზმის სხვა საზარელ გამოვლინებებზე, ბანაკებზე და ასე შემდეგ?

ბანაკების თემა ამოწურა თუ არა, ყოველ შემთხვევაში გააშუქა ა. სოლჟენიცინმა თავის შესანიშნავ მოთხრობაში „ივან დენისოვიჩის ერთი დღე", დიდი მოცულობის ძნელად წასაკითხ რომანებში და დოკუმენტურ „გულაგში" (მისივე თვრამეტ თუ ცხრამეტტომიანი „წითელი ბორბალი", როგორც ამბობენ, თვით სოლჟენიცინისა და მისი ენერგიული მეუღლის გარდა არავის წაუკითხავს). ბანაკების თემას უმოწყალო ექსპლუატაცია გაუწიეს ნაკლებად ნიჭიერი მწერლებისა და პუბლიცისტების ლეგიონებმა, მათ შორის, კონიუნქტურამ აყოლილმა ხელოსანმა კალმოსნებმა, რომელთაც ქება-დიდება და ლანძღვა-გინებაც თანაბრად ემარჯვებათ, იმისდა მიხედვით, თუ საით დაუბერავს პოლიტიკური ქარი თუ სიო.

ჭაბუა ამირეჯიბის ახალი რომანი ამკვიდრებს აზრს, რომ შეუძლებელია იმ ადამიანის დამარცხება, მოდრეკა და დაჩოქება, რომელმაც იგემა შინაგანი თავისუფლების ჯადოსნური ნაყოფი. მწერალმა ახლებური პოლიტიკური შინაარსი და ზნეობრივი სული შთაბერა ტერმინს „მარბენალი". ეს ბანაკიდან გამოქცეული ჩვეულებრივი პატიმარი როდია. გორა მბორგალი ცუან იტოვებს იმიერპოლარეთის „თეთრ წყვდიადს", გაურბის და პროტესტს უცხადებს სისასტიკეს, არაადამიანობას, განუკითხაობას, პიროვნების აბუჩად აგდებას, მის ტანჯვა-წამებასა და სიკვდილს. მისი სრბოლა სინათლისაკენ, თავისუფლებისაკენ მძლავრი და შეუქცევადია, რომლის აღკვეთა არ ძალუძს თვით პოლიტიკური ძებნის გროსმეისტერს, უდიდეს ანალიტიკოსსა და გამჭრიახ ჯალათს მიტილენიჩს, რომელიც ჩვეულებრივი „მაძებარი" როდი გახლავთ (ამ ტერმინსაც ავტორმა ახალი სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი ჟღერადობა მისცა). ამ შესანიშნავად აწყობილი და მომართული საზარელი მექანიზმის მისიაა შეწყვიტოს რეჟიმისათვის საშიში ეს სრბოლა, გატეხოს მარბენალის, ამ შემთხვევაში, გორა მბორგალის სული და ნებისყოფა, ამოკვეთოს შინაგანი თავისუფლების ჯადოსნური ნაყოფი, დააბრუნოს თავისი მსხვერპლი იმიერპოლარეთის „თეთრ წყვდიადში", რათა მისმა მაგალითმა არ უბიძგოს სხვებს სრბოლისაკენ, იმ სხვებს, რომელთაც იციან და სწამთ, რომ ვერასოდეს ვერსად გაექცევიან ყოვლისშემძლე მაძებარს.

გორა მბორგალი პროფესიონალი მარბენალია. მისი ბოლო გაქცევა რიგით მეექვსეა (უცნაური დამთხვევაა, — ამ სტრიქონების ავტორის მამა ექვსჯერ იყო გადასახლებული ციმბირში და ექვსჯერვე გამოიქცა, მართალია, რომანის გმირისაგან განსხვავებით, მეფისდროინდელი გადასახლებიდან), გორა 60 წლისაა, დაახლოებით იმდენისავე, რამდენისაც იყო ამ ნაწარმოების ავტორი, როცა ის იწყებდა რომანზე მუშაობას (წიგნი ათ წელიწადს იწერებოდა). გორა მბორგალის კბილაა ოთარ მეღვინეთუხუცესიც, რომელიც „დათა თუთაშხიას" ეკრანიზაციის დროს ამ გმირის ხნისა იყო. ამ რეცენზიით მინდა მივმართო ჩვენს სახელოვან რეჟისორს — გიგა ლორთქიფანიძეს: ძვირფასო გიგა! თქვენი მოღვაწეობა პარლამენტში ნაყოფიერი და სანაქებოა, მაგრამ როგორ მინდა, თქვენი მაღალი ხელოვნების სხვა თაყვანისმცემლებთან ერთად ვიხილოთ კიდევ ერთი თქვენებური მასშტაბური კინო — რომანი. სასცენარო მასალა „გორა მბორგალში" უხვზე უხვია მრავალსერიიანი ფილმისათვის. მთავარი როლის შემსრულებელიც საუკეთესო ფორმაშია. რაც დაადასტურა მარჯანიშვილელების ახალმა სპექტაკლმა „მეფე ლირმა". პარლამენტი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კვლავ აგირჩევენ, ყოველთვის მოგცემთ „შემოქმედებით მივლინებას" იმისათვის, რომ ეკრანზე ვიხილოთ გორა მბორგალის თავდავიწყებული სრბოლა სიმართლისა და სინათლისაკენ. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ მთავრობა გამონახავს სახსრებს ამ იდეის განხორციელებისათვის.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ რომანს: მისი ფაბულა ერთდროულად სადაა და რთულიც. გორა მბორგალის სრბოლა აღსავსეა სიუჟეტურად მძაფრი პასაჟებით, ავანტიურული პერიპეტიებით, მაგრამ მთავარი მაინც გმირის მოგონებები და მათი ანალიზია (აწყობილი — შავი პეტიტით).

ეს მოგონებები წარმოაჩენს საქართველოს ბედ-იღბალს მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეების შესაყარზე; ჩვენი საუკუნის პირველ წლებს ვიდრე მის მიწურულამდე. ესე იგი დღევანდელობამდე, ჭაბუა ამირეჯიბის ტრადიციული ოჯახის სამი თაობის წარმომადგენლების ბედ-იღბალის ჭრილში. ჭაბუას პაპა — გიორგი ამირეჯიბი (რომანში იაგორ კარგარეთელი პირველი) იყო რუსეთის არმიის ოფიცერი, მამა — ირაკლი ამირეჯიბი (რომანში ირაკლი კარგარეთელი) განთქმული იურისტი, ჩვენი საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლების საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარ- [illegible] რი იყო თავის ძმასთან — შალვასთან ერთად, 1918 წლის 26 მაისს დღევანდელი მოსწავლეთა სასახლის სახურავზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ააფრიალა. მის გვერდით, ტყვიამფრქვევთან იწვა გიორგი ხუციშვილი. ეს იმით იყო განპირობებული, რომ სასახლის წინ თურქეთიდან დაბრუნებული რუსეთის ჯარის ნაწილები იდგა და იყო იმის საშიშროება, რომ ისინი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაერეოდნენ. დაბოლოს, ჩვენი ჭაბუა ამირეჯიბი (რომანში იაგორ კარგარეთელი მეორე, ანუ გორა მბორგალი), თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, ჭაბუასა და გორას სრული იდენტურობა პირობითია.

თავისთავად ცხადია, რომ საქართველოს პოლიტიკური ისტორია და ყოფა რომანში არ განიხილება მხოლოდ ამირეჯიბების ოჯახის მაგალითზე. „გორა მბორგალი", ასე ვთქვათ, მჭიდროდაა დასახლებული პერსონაჟებით, რომელთა უმრავლესობა ისტორიული პიროვნებებია — პოლიტიკური მოღვაწეები, მწერლები, ხელოვნების წარმომადგენლები, უშიშროების სამსახურების მესვეურნი და რიგითები, პოლიტპატიმრები და მათი ზედამხედველები, თანაც ეს პერსონაჟები უმეტესად ხასიათებია, ტიპები, რომლებიც, ბელინსკის რომ დავესესხოთ, მოქმედებენ ტიპურ გარემოში, რომანის პირველად წაკითხვისას ამ პერსონაჟებს, ფილოსოფიურ სენტენციებსა და მოსწრებულ, ისტორიულ ანეკდოტებს ხაზს ვუსვამდი. წიგნის მეორედ წაკითხვისას დავინახე, რომ ის მთლიანად აჭრელებულია ხაზგასმებით. არ დავიზარე და დავთვალე: 660-გვერდიან ქმნილებაში 687 ხასიათი და ტიპი, 101 ფილოსოფიური სენტენცია და მაქსიმა, 60 ისტორიული ანეკდოტი პუშკინის „Table Talk"-ის („საუბრები მაგიდასთან") სტილში, სადაც გარდასული ეპოქისა და დღეების თავისებურებას, არომატი გადმოცემულია სწორედ ხასიათებში.

მურმან ლებანიძესთან საუბარში, წიგნში, რომელიც დაისტამბა ამ პოეტის გამომცემლობა „ჩანგში", ჭაბუა ამირეჯიბი აღნიშნავს: „ჩვენს მემატიანეებს, დიაღაც ნიჭიერებს, რომლებმაც თავიანთი მთელი შესაძლებლობა სამეფო კარის ცხოვრებას, ომების, ეპიდემიების ზოგად აღწერას შეალიეს, თავიანთ მატიანეებში ადამიანური ხასიათები რომ ეძერწათ, შთამომავლობა უკეთ გაერკვეოდა შესაბამის ეპოქებში".

საინტერესოა, რომ პუშკინი და ვიაზემსკი არაერთხელ გამოთქვამდნენ ანალოგიურ შეხედულებებს საჯაროდა და ბეჭდურად. კარამზინის ძალა, როგორც ისტორიკოსისა, იყო სწორედ ადამიანური ხასიათების ძერწვაში. „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის" თავები, რომლებიც ეძღვნება იოანე მრისხანეს, ფეოდორ იოანესძესა და ბორის გოდუნოვს, ძლიერია სწორედ ამ ადამიანური ხასიათების ძერწვის წყალობით. მე აღარაფერს ვამბობ „პუგაჩოვის ის- [illegible] პუშკინის „პეტრე I ისტორიის" მოსამზადებელი ტექსტის გამოქვეყნება).

და განა ჩვენი ილია არ წუხდა იმის გამო, რომ „ჩვენს ისტორიაში ხალხი არა ჩანსო?" ჭაბუა ამირეჯიბმა დაწერა რომანი და არა ისტორიული ტრაქტატი, მაგრამ ჩვენ, ისტორიკოსებს, ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია — XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის ფართო სოციალურ-პოლიტიკური ტილო შექმნა უპირატესად ხასიათებისა და ტიპების ოსტატური ძერწვით.

ჩემი აზრითა და ღრმა რწმენით, ამხილებს და უარყოფს რა ტირანიას, ტოტალიტარიზმსა და დიქტატურას, რაც იწვევს ათასებისა და მილიონების ტრაგედიას, საყოველთაო შიშს, კონფორმიზმსა და სხვა ასეთივე სავალალო შედეგებს, ჭაბუა ამირეჯიბს მხოლოდ ჩვენი ისტორიის ბოლო შვიდი ათეული წელიწადი არა აქვს მხედველობაში. თუკი ეს მოვლენები დაიწყო და დამთავრდა კომუნისტური რეჟიმით (თუმცა ეს რეჟიმი საკმაოდ შორს იყო კლასიკური კომუნიზმისაგან), მაშინ ტირანიისა და დიქტატურის პრობლემა ადვილი გადასაჭრელი იქნებოდა. განა ზოგიერთი ეგვიპტელი ფარაონის, სულას, ნერონის, კალიგულას, ჩინგიზ ხანის, თემურ ლენგის, იოანე მრისხანის, შაჰ-აბასის, ნაპოლეონის და სხვათა და სხვათა რეჟიმები არ ბადებდნენ ათასთა და მილიონთა ტრაგედიებს, საყოველთაო შიშსა და კონფორმიზმს? მწერალი ტირანიისა და მის წინააღმდეგ პროტესტის ფენომენს განიხილავს არა მარტო კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, არამედ როგორც, წინააღმდეგობასა და ბრძოლას სულიერი ცხოვრების, ზნეობის სფეროში. ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვან (თან ეს მკითხველისათვის ჭაშნიკის როლსაც შეასრულებს) რამდენიმე (ზოგჯერ პარადოქსულ) მაქსიმას, რომ ჩემი აზრი უფრო ნათელი გახდეს:

„ღმერთო, არ მომაკლო გასაჭირი, რომ სული ვწვართო, მაგრამ ისეთი გასაჭირი, რომ მჭირდეს მხოლოდ მე" (ეს პაპა იაგორის შეგონებაა).

„როცა ყველაფერი აკრძალულია, მაშინ ყველაფერი ნებადართულია".

„ისტორიამ დაამტკიცა, — სავარძელში მჯდომი მუცელზე მოხოხიალეს პანღურის მეტს არაფერს უბოძებს".

„რევოლუცია არის ქაოსი, სადაც პოლიტიკური ავანტიურისტები ფანატიკოსების ხელით ამღვრეული წყლიდან ამოყვანილ ზვიგენს ინტელექტუალების ხორცით ჰკვებავენ".

„მთელი კაცობრიობა, თვით პლანეტის სიცოცხლეა გაუფასურებული. აგერ, მასობრივი განადგურების უდახვეწილესი საშუალებები! ხუთ მილიარდს პირი დაუღია, ელის, პარანოიკები როდის მოუღებენ ბოლოს და უხარია!..."

„ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალა გამუდმებით უნდა არსებობდეს და ეს მოქალაქისთვის, საზოგადოებისთვის ცნობილი უნდა იყოს".

„დიქტატორები სცდებიან, როცა ცდილობენ მოსპონ მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალები. ამით ისინი ვარჯიშის, თვითდახვეწის საშუალებას ისპობენ".

„ახალ რელიგიებსა თუ იდეოლოგიებს პარანოიკები ამკვიდრებენ. მასას პარანოიკისა მეტად სჯერა, ვიდრე ბრძენისა, მიჰყვება მას, ამკვიდრებს პარანოიკსაც, მის მოძღვრებასაც და ყოველივე ეს ჭურუმთა თვალთმაქცობით მთავრდება".

„ზნეობრივი იდეალი შეიცავს ოთხ სათნოებას — ვაჟკაცობას, სამართლიანობას, თავშეკავებასა და გონიერებას...".

„პატივისცემა გქონდეს მტრისა! იგი შენში მებრძოლს აყალიბებს" (ესეც პაპა იაგორის შეგონებაა).

„იღბლიანი ადამიანი იმას კი არ ეთქმის, ვინც დედის კალთაში გაატარებს სიცოცხლეს და განსაცდელი ერთიც არ შეხვდება, — იღბლიანი ის არის, ვინც მძაფრ განსაცდელთან პირისპირ თუ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ასჯერ დადგება და ასჯერვე გადარჩება...".

ზოგჯერ გვხვდება საეჭვო (თუმცა გონებამახვილური) პარადოქსები, მაგალითად:

„ინტერნაციონალისტობა, როგორც თვისება, მე მგონია პირველად არაყმა გამოუმუშავა ადამიანს. ღოთისთვის სულერთია, ვისთან ერთად დათვრება".

ან კიდევ:

„მიაქციეთ ყურადღება, ახალგაზრდობის პოლიტიზებულმა ნაწილმა წვერ-ულვაში მოუშვა! ეს ნიშნავს, რომ რევოლუციური სიტუაცია მწიფდება!...".

ჩვენ შემთხვევით როდი მოვიტანეთ ასე ჭარბად ავტორის სენტენციები, რომლებიც რაღაც ერთ სოციალურ-პოლიტიკურ ყალიბში არ ჯდება. აქ ვხედავთ მწერლის პირადი გამოცდილების ნაყოფსაც და იმის ცდასაც, რომ განზოგადდეს წინა თაობების ისტორიული, პოლიტიკური და ზნეობრივი გამოცდილება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ნაწარმოების მთავარ იდეას. რომანის გმირი სრულიად გარკვეული მრწამსის ადამიანია, რომელიც იბრძვის ამ მრწამსის გამარჯვებისათვის. მისი ამოცანაა დაამტკიცოს, რომ თავისუფლებისათვის კაცს შეუძლია უკან მოიტოვოს იმიერპოლარეთის „თეთრი წყვდიადი", გადალახოს ტუნდრა, ტაიგა, გაჰკვეთოს ორიათასკილომეტრიანი ჩახტომი და „შორეული აღმოსავლეთის რკინიგზის მაგისტრალზე ჩაჯდეს... ზედ რელსზე". ეს „რელსზე დაჯდომა" იკითხება, როგორც საბოლოო მიზნის მიღწევა ყველაფრის ფასად; როგორც ადამიანის ამოუწურავი შესაძლებლობების მაქსიმუმი. „მე სულიერი და ხორციელი ჯანმრთელობა მჭირდება, — არწმუნებს თავის თავს გორა — რელსზე უნდა დავჯდე".

(დასასრული მე-8 გვ.).

---

* ჭაბუა ამირეჯიბი. „გორა მბორგალი". თბილისი, საქართველო, 1995 წ. რედაქტორი ხალამბე ნაკოლეიშვილი, მხატვარი გიორგი ხარჩილაძე. შეხვალი წერილი რეზი თვარაძისა.

აფხაზ სეპარატისტთა „ბრალდება" შეთითხნილი და უსაფუძვლოა

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ეგრეთ წოდებული აფხაზეთის რესპუბლიკის მიერ უკანონოდ შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელთა განცხადება იმის შესახებ, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურატურამ" გამოიყენოს დაპატიმრების სახით აღკვეთის ზომები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის მოადგილის თამაზ ნადარეიშვილის მიმართ, რომელსაც ამჟამად საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერის პოსტი უკავია.

თ. ნადარეიშვილის დაპატიმრებაზე სანქციის მიცემის საფუძველი გახდა სისხლის სამართლის მასალები, თითქოს მას ჩაედინოს მთელი რიგი მძიმე სახელმწიფო დანაშაულობანი — ეწეოდა ომის, ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების პროპაგანდას. აწყობდა აფხაზთა გენოციდს.

ამგვარი განცხადება ბატონ თ. ნადარეიშვილის მიმართ დაუსაბუთებელია.

ისევე როგორც თვითმარქვია აფხაზეთის რესპუბლიკა, ისე იქ შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურატურაც, არავის არ უცვნია და შექმნილია კანონსაწინააღმდეგოდ.

აქედან გამომდინარე, მათ მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება მართლსაწინააღმდეგოა.

როცა ბატონ თ. ნადარეიშვილს აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ სდებენ ბრალს, აფხაზი სეპარატისტები ისახავენ კონკრეტულ მიზნებს — ცილი დასწამონ და განზრახ შელახონ საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ავტორიტეტი, რომელიც პირველი დღეებიდანვე იბრძოდა და იბრძვის ადამიანის უფლებებისათვის და ყოველ ღონეს ხმარობს სამშობლოში ლტოლვილთა დასაბრუნებლად.

რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი.

სად ჩააბარონ მოსავალი?

დიდი ხანია, დადგა ხილისა დ ბოსტნეულის სეზონი, მაგრამ რე სპუბლიკის საკონსერვო ქარხნებ კვლავ მოცდენილია. და ეს იმი ტომ კი არ ხდება, რომ არ არი გადასამუშავებელი ნედლეულ პირიქით, ფერმერებმა და გლე ხობამ კარგი მოსავალი მოიწიე მაგრამ ვერა და ვერ აბარებენ მ გადასამუშავებლად. საკონსერვ ქარხნები, უბრალოდ, არ იღე ბენ ხილ-ბოსტნეულს. ამის შე დეგად, როგორც ცნობილი გა ხდა, დაღუპვის საფრთხე ემუქ რება დიდძალ პამიდორს, ხილ

ეს ფაქტი გახდა განსაკუთრე ბული სჯა-ბაასის საგანი საქა რთველოს სოფლის მეურნეობ ისა და კვების მრეწველობის სა ინისტროში, სადაც გაიმართა ქ რხნების დირექტორების შეხვ დრა სამინისტროს ხელმძღვანელ ბთან. გამოირკვა, კერძოდ, რო მრავალი დირექტორი საერთო ვერ აკმაყოფილებს სადღეის მოთხოვნებს. უფრო მეტიც, მთ ლმა რიგმა პრივატიზებულმა ს წარმოებმა ვერ მოგვცეს საჭირ უკუგება. აღინიშნა, რომ დარ ში საქმეები თვითდინებაზეა მ შვებული. მიღებულია გადაწ ვეტილება, რადიკალურ გარდ ქმნათა საჭიროების, მთელი რ გი ქარხნების დირექტორებ უფრო ენერგიული, თანამედრო ხელმძღვანელებით შეცვლის შ სახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ფერისცვალებაა



სურათებზე: მარტყოფის ღვთისმშობლის ტაძარი.

თემო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ეპოქის ოდისეა

(დასასრული)

თავის შესავალ წერილში, რომელიც, ყოველგვარი გადაჭარბების არეშე, ბრწყინვალე ესეს წარმოდგენს, რეზი თვარაძე აღნიშნავს, ომ გორა მბორგალის სენტენცია „უმნიშვნელოვანესი ორიენტირი უნდა იყოს რომანის მართებლად გაგებისათვის: მთელი სიოცხლის მანძილზე გაძარცული ა დევნილი, მოძალადეთაგან შევიწროებული კაცი ამბობს ამას და იდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმ არადიულ ჭეშმარიტებას, „ამქვენად ღირებულია არა დალხენილი ხოვრება, არამედ — სულიერი მაღლე (შევადაროთ მათე, 6,19-0), რადგან იმგვარი საქმე, რომელიც არ დაიკარგება, ადამიანეისთვის დარჩება, მხოლოდ და ხოლოდ სულიერი სიმაღლის ქონე პიროვნებამ შეიძლება აღასულოს (კვლავ ლიტერატურული არალელი: „და ჩემს შემდგომად ძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაადვილდეს“)“.

გორა-ჭაბუას ოდისეა (და კლაკური „ოდისეა“ ხომ არაადაანურ სიძნელეთა და ცდუნებაა გადალახვას ნიშნავს) დასასულს უახლოვდება. რომანის გმიი აღწევს, როგორც იქნა; საბლოო მიზანს და რელსზე ჯდე. რკინიგზის მიწაყრილის მეორე არეზე მიტილენიჩი ზის და ფიქრობს: „იდიოტია? არა, ძმობილო, გორა კარგარეთელზე მაგისანებს ნუ ვიტყვით, შეურაცხყოას ნუ მივაყენებთ, ღირსეული კაია! მაგას თვით გაქცევისა და ელსზე დაჯდომის მეტი არც რაე აინტერესებდა. აგერ რელსზის და მელოდება, — მიტიენიჩ, მე ჩემი გავაკეთე, შენი ჯეია, მობრძანდი, წამიყვანეო“.

მაგრამ ამჯერად „მაძებარი“ ვერ ყვანს „მარბენალს“, ვინაიდან ტილენიჩის საქაღალდეში დევს ოკუმენტი, სადაც ნათქვამია, ომ იაგორ კარგარეთელი უნდა თავისუფლდეს „ქმედებაში დააშაულის უქონლობის გამო“. გრამ პირადად მე მჯერა, — ეს ალდიც რომ არ ყოფილიყო, ტილენიჩი, ვიქტორ ჰიუგოს ჟარის მსგავსად. მაინც არ აიყვან გორას, რადგან მის გაქვაველ სულში უნებლიედ დაისადურა პატივისცემამ იმ ადამიანის მართ, რომელმაც გააკეთა ფანტიური ნახტომი იმიერპოლათის „თეთრი წყვდიადიდან“ რეული აღმოსავლეთის რკინიგზის მაგისტრალამდე, ესე იგი, თავისუფლებისაკენ.

უკანასკნელად კარგარეთელი და მიტილენიჩი ვაგონში ხვდებიან და მერე სამუდამოდ შორდებიან ერთმანეთს.

თავისუფლება საბოლოოდ გაიმარჯვებს — ამას ამკვიდრებს თავის გასაოცარ რომანში სამოციდაათს გადაცილებული ჭაბუა ამირეჯიბი. შეიძლება სულაც არ იყოს ეს ლიტერატურული ტერმინი, მაგრამ რომანი „გორა მბორგალი“ ძლიერი წიგნია, უმდიდრესი კონცენტრატი — სხვა ავტორი აქედან 4-5 რომანს გამოჭრიდა.

საკუთარი სინდისისა და მრწამსის წინააღმდეგ ქმედება და ბატონ ჭაბუსადმი უპატივცემლობა იქნებოდა, რომანის ზოგიერთ პასაჟზე ჩემი გულწრფელი და მოკრძალებული შენიშვნა რომ არ გამომეთქვა. ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ „კომუნისტურმა იდეოლოგიამ ყოველივე ეროვნულის დაორგუნვა დაისახა მიზნად“. ეროვნული კულტურების განვითარების პროცესი საბჭოთა კავშირის მასშტაბით წინააღმდეგობრივი და არაერთგვაროვანი იყო. ერთის მხრივ, დეკლარირებდა თითქოს და ლენინური, სინამდვილეში კი დიდმპყრობელურ-შოვინისტურ ერთა დაახლოვებისა და შერწყმის რეაქციული „თეორია“. ზოგან ეს პრაქტიკულადაც განხორციელდა. მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის ინტენსიური განვითარება ფაქტია, რომლის უარყოფა უაზრობაა. ამაზე ნათლად მეტყველებს ქართული მეცნიერული სკოლების აღიარება მთელ მსოფლიოში, ისევე, როგორც ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი საერთაშორისო პრესტიჟი, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, რეიტინგი. მთელი პასუხისმგებლობით ვადასტურებ — სამოციან წლებში, ეგრეთწოდებული „ოტტეპელის“ (ყინულის ლღობის ანუ „ლედმის დაკვრის“) პერიოდში, როცა უშუალოდ მიხდებოდა საქართველოს სულიერი ცხოვრების სფეროში მუშაობა, ჩვენს ეროვნულ კულტურაზე ზეწოლის კონკრეტული ფაქტის დასახელება გამიძნელდება. გავიხსენოთ რუსთაველის, ბარათაშვილის, სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილეები. თვით ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხიას“ ბედი ბევრის მთქმელია. მან ფეხი აიდგა ჟურნალ „ცისკარში“, რომელსაც მაშინ ჩვენი გამოჩენილი პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი ხელმძღვანელობდა და შემდეგ მთელი მსოფლიო მოიარა.

ასევე სადავოდ მიმაჩნია შემდეგი სენტენცია: „ხალხის უდიდესმა ნაწილმა ბრმად იწამა საწერ მაგიდაზე შეთხზული და არა განვითარებით ნაკარნახევი იდეოლოგია, ერთადერთ ჭეშმარიტებად მიიჩნია იგი და საკუთარი სიცოცხლეც განუყოფლად, მთლიანად დაუკავშირა ეფემერას“. საგაზეთო რეცენზიაში არ მოხერხდება ამ დებულების დაწვრილებით განხილვა. ვიტყვი მხოლოდ, რომ მარქსიზმის **რუსული მოდელი** სრულებითაც **არ ამოწურავს** და ზოგჯერ **უპირისპირდება** კიდეც მარქსისა და ენგელსის ნალვაწ-ნააზრევს.

ნიშანდობლივია, რომ ეს მომენტი ღრმად და საფუძვლიანად გაისიგრძეგანა დიდმა ილიამ, რომელიც ჩაუღრმავდა მარქსის მოძღვრებას და რომელმაც ნოე ჟორდანიას, რუსული მარქსიზმის ერთ-ერთ მიმდევარსა და მქადაგებელს, „მარქსიზმის თუთიყუში“ უწოდა. ილიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თვით „სახელოვანი მარქსი“, უარს იტყოდა მარქსისტობაზე, რომ დაენახა, როგორ გააყალბეს მისი მოძღვრება ჟორდანიამ და „მისმა წილადობილებმა“.

გორა მბორგალისადმი უდიდესი პატივისცემისა და თაყვანისცემისა მიუხედავად, მცდარად მიმაჩნია მისი შემდეგი მტკიცება: „ომი, მე თუ მკითხავს ვინმე, სტალინისა და ჰიტლერის „დამეგობრებით“ მოხდა“. სამწუხაროდ, წინწკლები საქმეს ვერ შველის. ომი სინამდვილეში მიუნხენმა, ესე იგი, დასავლეთის კაპიტულანტურმა პოლიტიკამ განაპირობა, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების მცდელობამ ფაშიზმის სამხედრო მანქანის მეშვეობით ბოლო მოეღოთ საბჭოთა კავშირისათვის, რუსეთის გეომეტრიული პროგრესიით მზარდი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებისათვის.

არის რომანში ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის ტენდენციური, ცალმხრივი შეფასება, რაც ალბათ რომანის გმირისა და ავტორის პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებით არის განპირობებული.

• • •

ერთ-ერთ თავის მოგონებას გორა მბორგალი ასე ამთავრებს: „კაი, ბატონო, გვეყო. ზოგიც მერე იყოს“. მე ამ ფრაზაში „ბატონოს“ მერე „ჭაბუას“ ჩავსვამდი და ეს ფრაზა შემდეგნაირად გაიჟღერებს: „კაი, ბატონო ჭაბუა, გვეყო. ზოგიც მერე იყოს“. ეს „მერე“ კი — ახალი რომანია. გისურვებ, ჩემო უფროსო მეგობარო კიდევ ერთ ნახტომს (ნუ იქნება ის ორიათასკილომეტრიანი) რელსებისკენ, სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისკენ!

დევი სტურუა,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

გროზნო: განიარაღების პროცესი დაიწყო, ვითარება დაძაბული რჩება

პრეზიდენტ ბორის ელცინისა და რუსეთის მთავრობის მკაცრმა გაფრთხილებამ, თუ არ განხორციელდებოდა 30 ივლისს ხელმოწერილი სამხედრო საკითხთა კომპლექსის შეთანხმება, რუსეთის მხარე ყველა ზომას მიმართავდა ჩეჩნეთში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებისათვის, როგორც ჩანს, გარკვეული ზემოქმედება იქონია ჩეჩნეთში იმ წრეებზეც, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა ჩაფუშონ გროზნოში მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი, დაუშვან თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

ხუთშაბათს, ივლისის შეთანხმების შესაბამისად, უკვე დაიწყო სეპარატისტთა უკანონო ფორმირებების განიარაღება. პირველებმა იარაღი ჩააბარეს სოფელ ზანდაკის 30 ბოევიკმა. ამ ცერემონიალს ესწრებოდნენ ფედერალური სარდლობის წარმომადგენლები და სეპარატისტთა ზოგიერთი ლიდერი, ევროპის უშიშროებისა და განვითარების ორგანიზაციის მისიის მეთაური ჩეჩნეთში შანდორ მასაროში. სულ ჩაბარდა 23 ავტომატი, 3 ტყვიამფრქვევი, 18 ტანკსაწინააღმდეგო და სახმელეთო დანიშნულების ნაღმი, ერთი საზენიტო დანადგარი. შალინსკის რაიონში დუდაევის მომხრეებმა ასზე მეტი ავტომატი ჩააბარეს. ჩეჩნეთში ფედერალური ჯარების დაჯგუფების სარდალმა გენერალმა რომანოვმა დაადასტურა ორივე მხარის გადაწყვეტილება — ყველა საკითხი მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით მოაგვარონ. თავის მხრივ, სეპარატისტთა ჯარების შტაბის უფროსმა მასხადოვმა მზადყოფნა გამოთქვა გაემგზავროს რესპუბლიკის ნებისმიერ რაიონში, რათა თავიდან აიცილოს ბოევიკების განიარაღების დროს მოსალოდნელი ექსცესები. მიუხედავად ამისა, ხუთშაბათს აჩხოი-მარტანში, გროზნოდან 40 კილომეტრზე, აღინიშნა ინტენსიური ცეცხლი ფედერალურ ძალებსა და ბოევიკებს შორის (ამ რაიონშიც უნდა განხორციელდეს სეპარატისტთა განიარაღება). ამავე დროს პარალელურად უკვე მიმდინარეობს ფედერალური ჯარების გასვლა ზოგიერთი რაიონიდან.

ელცინი კონსულტაციებს მართავს

რუსეთში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ბორის ელცინი აგრძელებს კონსულტაციების სერიას დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან. ხუთშაბათს იგი შეხვდა პარტია „რუსეთის დემოკრატიული არჩევანის“ თავმჯდომარეს ეგორ გაიდარს. ადრე იგი ესაუბრა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პარტიის ლიდერს ალექსანდრე იაკოვლევს, როგორც აღნიშნავენ, განიხილეს რუსეთის დემოკრატიული ძალების გაერთიანების საკითხი სახელმწიფო სათათბიროს დეკემბრის არჩევნების წინ. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთში ბევრი მიმომხილველი არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებას მემარცხენე ძალებს უწინასწარმეტყველებს.

რეგისტრაცია დაიწყო

ხუთშაბათს რუსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო იმ პარტიების, საზოგადოებრივ მოძრაობათა და ბლოკების რეგისტრაცია, რომლებიც აპირებენ რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის — სახელმწიფო სათათბიროს 17 დეკემბრის არჩევნებში მონაწილეობას. საამისოდ ყველა პარტიამ და ბლოკმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს 200 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერა. როგორც ფიქრობენ, 262 რეგისტრაციაში გატარებული პარტიიდან ყველა როდი შეძლებს ამ ბარიერის გადალახვას. ყველაზე უფრო გავლენიან პარტიებად და მოძრაობებად ასახელებენ: ცენტრისტულ ბლოკს „ჩვენი სახლი — რუსეთია“, რომელსაც სათავეში პრემიერი ვიქტორ ჩერნომირდინი უდგას, მემარცხენე-ცენტრისტულ საარჩევნო ბლოკს, რომელსაც სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ივანე რიბკინი მეთაურობს, ლიბერალურ-დემოკრატიულ გაერთიანება „იაბლოკოს“, რომელსაც ეკონომისტი გრიგოლ იავლინსკი თავკაცობს, აგრარულ პარტიასა და კომუნისტებს.

გაზსადენი საქართველოზეც გაივლის?

თურქმენეთში თურქეთის პრემიერ-მინისტრ თანსუ ჩილერის ვიზიტთან დაკავშირებით (ჩილერი უკვე შეხვდა პრეზიდენტ საფარმურად ნიაზოვს), დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წინადადება, რომელიც ჩილერმა შესთავაზა, არის თურქმენეთიდან გაზსადენის მშენებლობა, რომლის ტრასაც გაივლის რუსეთის, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე. ეს საკითხი სექტემბერში უნდა გადაწყდეს. თუ როგორი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება, ამას ალბათ, მალე შევიტყობთ.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

მთვარისა ქერესელიძე

თქვენ არ მოკვდებით, ბიჭებო!

საბურთალოს პანთეონში კლდეებში
გაბრიელ საფლავებში წვანან აფხაზეთის ომში დაღუპული ბიჭები

თქვენ არ მოკვდებით, ბიჭებო,
მუდამ დარჩებით ბიჭებად,
თქვენ არ მოკვდებით, ბიჭებო,
სიცოცხლე ახლა იწყება
ცა რომ მტრედისფრად იღებს,
ნაპრალზე ბინდობს რულის,
ქალაქზე ნისლი კრიალა,
თქვენი ამაყი სულია...
აფხაზეთისკენ ცას რქებით
ჰკიდია მთვარე რამხელა,
თქვენი საქმენი საქები,
შვილებს ექნებათ სახელად.
აფხაზეთისკენ გულადად,
გზა ზეცისაკენ მიუხვევს,
ცა გახურიათ ქუდადა,
არწივად დაფრენთ ჭიუხებს...
გული სად გიწევთ, არადა,
ამინდს თუ ელით როგორიანს,
კლდე გიდევთ სასთუმალადა,
კლდისაც ლოგინი გიგიათ.
თქვენ არ მოკვდებით, ბიჭებო,
ოი, დასწყევლოს უკუნი,
ოი, სად დაასიჭებთო,
კლდენი შეძრულან გუგუნით —
ოი, სად დაასიჭებთო,
შუბლი შეიკრეს ქედებმა,
აფხაზეთისკენ, ბიჭებო...
აღარ იგლოვონ დედებმა,
გაღებულია ცის კარი,
თუმცა ზეცამა არ დაგინდოთ,
კვლავ სოხუმისკენ იჩქარით
საფრენად და სარაინდოდ.
თქვენ არ მოკვდებით, ბიჭებო,
მუდამ დარჩებით ბიჭებად,
თქვენ არ მოკვდებით ბიჭებო,
სიცოცხლე ახლა იწყება!

ფიქრები 9 აპრილის თბილისზე

ყრია ჩამქრალი იმედები,
ყრია დამსხვრეული ოცნებები,
ღმერთო, ასე როცა გვიმეტებდი,
სადღრაც რად არ იდგნენ მლოცველები?
მე თუ დარდი მაკლდა, —
ზღვას ქვიშა მოკლებია, მაშინ,
მე თუ დარდი მაკლდა, —
ცას ვარსკვლავები მოკლებია, მაშინ,
მე თუ დარდი მაკლდა, —
წყალს თევზი მოკლებია, მაშინ,
არადა,
დარდზე დარდი მომემატა და...
ნეტავ შევირდებოდა რაში?
ვის უნდა ანგელოსი ჩამქრალი,
ანდა შელანძღული ხატი,
ნაცარი კერიაზე გამქრალი,
უფლება აყრილი ნატვრის...
ანდა —
დანგრეული ტაძარი,
ლიბო ჩამოშლილი ცისე, —
ფერფლი და ჩამქრალი ნაცარი,
. . . .
და მაინც ნაიარევს ვიხვევთ...
ღმერთო, რა ყოფილან აპრილები,
შეშლილი, შელეწილი ნაპირებით.

დუმილის შემდეგ

დუმილის შემდეგ ისევ ვწერ ლექსებს
(დუმილით თურმე ვერაფერს შეცვლი!)
ისევ მდევნიან იუდას გეშზე,
ჯიბეში თეთრი რომ აგრძნონ ვერცხლი.
გულო გაუძელ ცოტა ხანს კიდევ,
ვეძებ უამრავს სანამ ვერსიას,
ჩამტვრეულია სანამდე კიბე
სიკეთისათვის სანამ ვეხვრიან...
ძნელია ისე, უმიზნოდ წერა,
როდესაც ლექსით ვერაფერს ვერ ცვლი,
ვერა და ვერა, ვერა და ვერა,
ვერ მოვიშორეთ იუდას ვერცხლი.
მივდივარ, მძიმე თან მიმაქვს ჯვარი,
დაკიდებული ბეწვის ხიდებით,
დაკარგულია იმედიც ხვალის,
მაინც რატომღაც
ხავსს ვეჭიდები.
ხან მეწყერია გზაზე, ხან ცეცხლი,
თუმცა დუმილით კბოდეებს ვავსებ!
გაყიდული ვარ ოცდაათ ვერცხლად,
გამწესებული ვარ გოლგოთაზე.
გულო, გაუძელ ცოტა ხანს კიდევ
მძიმე ტკივილებს, რაიც მოგქონდა,
სულ ახლოსაა ცხოვრების კიდე,
სულ ახლოსაა ჩვენი გოლგოთა.

ქარი და წვიმა ირევა თვალში,
ჩანავლულია სულის საწყაო,
ო, საცოდაო, მოხუცო ბავშვო,
ო, საცოდაო, მართლა საწყალო.

ო, მამობილო თეთრი სატანის,
მიტოვებულო სახის-კალთო,
დაგვკარგვინეს ნიჭი გატანის
გაგზადეს სხვათა სავალალოო.
ო, საცოდაო, რასა სთხოვ ზენას,
მიჰირს ღრუბლიან ქარის ატანა!
უფლის კიბეზე მივათრევ რწმენას,
რადგან ფათურობს სულში სატანა.

. . .

ქარი და წვიმა ირევა თვალში.

არ გადაშენდება ქართველი

შორს მოჩანს შენი ცა ზღაპრული,
მე ისევ იმგვარად ვინთები,
ხელახლა მოვიდა აპრილი,
ატმების იისფერ კვირტებით.
ყვავილთა მშვენება ზღაპრული
მოჭარდა, განიხვნენ იებად,
ხელახლა მოვიდა ზაფხული
ძიება, ძიება, ძიება...
წყაროსთან პატარა იებმა
ჩურჩულით მიდამო აიკლეს,
აქ იდგნენ პატარა ბიები
რა იქნენ, რა იქნენ, რა იქნენ...
საიდან დაგვატყდა ავდარი,
ამ ტკივილს როგორღა გავუძლოთ,
ო, ღმერთო, დაქცევა ამგვარი,
აშორე ჩემს ხალხს და საუფლოს.

დაფრინავს ვარდისფერ ბუღებში
ცა იხსნის უმანკო იარებს,
დაქცეულთ ვინ უთხრას ნუგეში,
ჩვენს ტკივილს ვინ გაიზიარებს?...
გოდებენ, გოდებენ, გოდებენ,
სადაა იმედის ნაპირი,
როდემდე, როდემდე, როდემდე,
მოვა და წაგვლეკავს აპრილი?...
ნანგრევში ჩაშლილი სურვილი
დარჩება დამარხულ ტკივილად,
იფეთქებს სიცოცხლის წყურვილი,
ხელახლა რისხვად და კივილად...
რაც უნდა დაგვჩეხონ, გვაწამონ,
გული კვლავ იმ რწმენით ენთება,
არ გადაშენდება ქართველი,
ქართველი არ გადაშენდება.
სამრეკლოთ რეკავენ ზარები,
იქნება შენ იყავ სახიჩო,
იქნება შენ შეხსნა კარები,
იქნება შენ გადაგვარჩინო...
ამბობენ ეს წუთისოფელი,
არაფერს არ გვაპატიებსო,
შენ გადაგვარჩინე, უფალო,
შენ გადაგვარჩინე იესო...
ასტკივა ცისფერი ნაპირი,
უწყალოდ დამარხულ იმედებს,
დამსკდარი, დამსკდარი ნაპრალი...
ბედი კარგს არაფერს იმეტებს.
გაივლის ეს მძიმე აპრილიც,
ტკივილით და... შავი ვარდებით,
ცა ისევ იქნება ზღაპრული,
ნისლების ულურჯეს ფარდებით...
რაც უნდა დაგვჩეხონ, გვაწამონ,
გული კვლავ იმ რწმენით ენთება,
არ გადაშენდება ქართველი,
ქართველი არ გადაშენდება.

* * *

მივალ, ეს წასვლაც მეყოფა დარდად,
სხვა რა დამრჩება სევდიანი ლექსების გარდა...
და მიწიერი შურისაგან დაგესლილს, დაღლილს,
უკან მომდევენ ჩემი ლექსები,
როგორც ფინია ერთგული ძაღლი...

. . .

მივალ, ეს წასვლაც მეყოფა დარდად...

რუსეთის პრესის სარკეში

კომუნისტები, როგორც ემელიან პუგაჩოვის მემკვიდრენი

რუსები რუბლისაგან გარბიან

რეგიონები „ხელისუფლების პარტიის“ წინააღმდეგ

ათ საზღვარგარეთელ ინვესტორთაგან ექვსი თაღლითია

„იზვესტიის“ პირველ გვერდზე თეიმურაზ მამალაძემ ბრწყინვალედ დაგვიმტკიცა, რომ ყოველი ჩვენგანისათვის ნაცნობი ობიექტის ფოტოსურათი შეიძლება პუბლიცისტიკის საგანი გახდეს. ფოტოზე გამოსახულია სასტუმრო „ივერია“, რომლის აივნებზე თეთრეულია გამოფენილი. თ. მამალაძე წერს: „თბილისის ოდესღაც ფეშენებელური ოტელი ლტოლვილთა თავშესაფარი გამხდარა... ძველი ბინადრებისაგან განსხვავებით „ივერიაში“ ერთ ენაზე მეტყველებენ და ერთსა და იმავეს კითხულობენ — „როდის დავბრუნდებით შინ?“

პლანეტის ყოველი 114-ე მცხოვრები ლტოლვილია... „ივერია“ **გლობალური პრობლემის სიმბოლოა. „ივერია“ შეგვახსენებს, რომ დედამიწის ზურგზე 50 მილიონი კაცი მიმოუფანტავს „ეროვნული პოლიტიკის“ გრიგალს.**

„პრავდა“ კი ვერა და ვერ შელევია, მისტირის ყოფილი სსრ კავშირის საზღვრებს. რუსეთის სამხრეთი მიჯნებიდან მიღებულ კორესპონდენციებში გაზეთი დაუფარავად და რიხიანად აცხადებს: „რუსეთის საზღვრის სოჭთან დაწესება ნონსენსია, დიადი სახელმწიფოს საზღვარი უნდა გადიოდეს იქ, სადაც ჯერ არს, — გაცილებით უფრო სამხრეთით (?! ი. მ.). ოდესმე ისტორია სწორედ აქეთკენ გვიბიძგებს“.

„ისტორიის წაბიძგების“ მოლოდინში „პრავდა“ არ აზუსტებს, მაინც, სად უნდა გადიოდეს რუსეთის საზღვარი — ენგურზე თუ ჭოროხზე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ლენინური გაზეთი კვლავინდებურად მარჯვედ უხამებს ერთმანეთს კომუნისტურ იდეოლოგიასა და იმპერიალისტურ მადას. ეს არის უპირველეს ყოვლისა, დამაფიქრებელი ინფორმაცია ჩვენი „ბოლშევიკებისათვის“, რომლებიც რუსეთელ თანამოსაქმეებს კომუნისტური პარტიების კავშირის XXX ყრილობაზე ჩაეკონნენ.

მიმოსახილველ პერიოდში „პრავდამ“ ერთხელ კიდევ გადმოხედა „წყალობის თვალით“ საქართველოს. ამჯერად — „პოზიტიური“ თვალსაზრისით. გაზეთი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „დღეს საქართველოში ათზე მეტი კომუნისტური და სოციალისტური იდეოლოგიის პარტიაა“. მადლობელი უნდა ვიყოთ ამისთვისაც, თუმცა „პრავდას“ სათვალავი ეშლება.

იდეოლოგიებზე სჯა-ბაასთან დაკავშირებით მოვიყვან ერთ ადგილს „დამოუკიდებელი სახალხო გაზეთიდან“ **„სოვეტსკაია როსიადან“.** გაზეთში დაბეჭდილია ციტატა ყველასათვის ცნობილი გენადი ზიუგანოვის საყურადღებო გამონათქვამისა: „რუსეთი ჯანყდებოდა სტეფანე რაზინის, ივანე ბოლოტნიკოვის, ემელიანე პუგაჩოვის, დეკაბრისტების, ნაროდოვოლცევის დროიდან არა იმიტომ, რომ ისინი ყველანი სოციალისტური იდეალების მომხრენი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნული სულისკვეთება, ჩვენი ბუნება ვერ ეგუება უსამართლობას“. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მტკიცე კომუნისტი ზიუგანოვი, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი სახალხო გმირების ერთგული მიმდევარი, ჯერ კიდევ საბჭოთა-პარტიულ სამუშაოზე ყოფნისას, არა იმდენად იცავდა „სოციალისტურ იდეალებს“, რამდენადაც „ებრძოდა უსამართლობას“. საკითხავი დაგვრჩა მხოლოდ ერთი რამ: ვის ებრძოდა?

„იზვესტიის“ ანალიზურმა ცენტრმა თავისი გამოკვლევით იმედი გაუცრუა ჩერნომირდინის პარტიას „ჩვენი სახლი რუსეთია“, „მთავრობის“ პარტიას იმედი ჰქონდა, რომ წინასაარჩევნო ბრძოლაში რეგიონებს დაეყრდნობოდა. ხოლო ანალიზი მოწმობს, რომ ადგილებზე სხვადასხვა „რეგიონული“ პარტიები და მოძრაობანი, რომლებმაც დაძლიეს თავიანთი პარტიათშორისი წინააღმდეგობანი, კოალიციად გაერთიანდნენ „ხელისუფლების პარტიის“ წინააღმდეგ. ამ ოპოზიციურმა დაჯგუფებებმა უკვე გამოაქვეყნეს ოფიციალური განცხადება, რომ მომავალ არჩევნებში მათი მთავარი მეტოქე სწორედ სამთავრობო ბლოკი იქნება. ზოგან საერთოდ უკვე მოხდა „ისტორიული მოვლენა“, წერს „იზვესტია“, — კომუნისტები ძმობას ეფიცებიან დემოკრატებს, ოღონდ მოუსპონ მოხელეთა პარტიას ყოველგვარი შესაძლებლობა რეგიონებში.



ახლა პოლიტიკიდან საქმეზე გადავიდეთ. **„მოსკოვსკიე ნოვოსტის“** დამატებაში „მნ — ბიზნესი“ ნათქვამია, რომ 1995 წლის ივლისში „რუსეთმა დაამყარა არცთუ **საპატიო რეკორდი. ინფლაციის ტემპი მის ტერიტორიაზე ყველაზე მაღალი აღმოჩნდა ყოფილი სსრ კავშირის ყველა ქვეყანას შორის** ტაჯიკეთისა და თურქმენეთის გარდა. მიმომხილველი — ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტის თანამშრომელი ი. ილარიონოვი დასძენს, რომ რუსული რუბლისაგან თვით რუსეთის მოქალაქენი გარბიან. მიმომხილველი აგრეთვე ცდილობს გვასიამოვნოს ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს: **„წელს მანეთის კურსი დოლართან შედარებით 46 პროცენტით დაეცა, ხოლო ქართული კუპონისა — 19 პროცენტით ამაღლდა“.** ქებისათვის — მადლობა გაზეთს, მაგრამ მე მგონი, ჩვენი ობივატელისათვის ვერაფერი შეღავათია მონეტარისტული გაანგარიშებანი.

რუსეთის გაზეთები კვლავინდებურად მსჯელობენ კავკასიისა და აზიის ნავთობის პრობლემაზე. კერძოდ, გაზეთ **„სეგოდნიას“** მოჰყავს პარიზის **„მონდის“** ასეთი ვერსია: **„საქართველოს მთავრობის მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა მზადყოფნა აღკვეთოს ყველა დაბრკოლება საიმისოდ, რომ აზერბაიჯანულმა ნავთობმა იდინოს საქართველოს გავლით. ეს სოლიდური განაცხადია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატები მხარს უჭერს საქართველოს გავლით „დასავლეთის გზას“, რომელიც თურქეთისა და ხმელთაშუა ზღვისაკენ მიემართება, და ამასთანავე კონტროლს უწევს ნავთობის კონსორციუმს,** — ნათქვამია გაზეთ **„სეგოდნიას“** მიმომხილველის კომენტარებში.

რუსეთში გამოდის ჟურნალი **„მეწარმეობისა და პიროვნების უსაფრთხოება“.** თავისი პროფილის შესაბამისად ჟურნალი აფრთხილებს საქმიან სამყაროს, რომ ათ უცხოელ მეწარმეთაგან და ბიზნესმენთაგან ექვსი — თაღლითია. ბუნებრივია, ჟურნალს არ ჰყავს საკუთარი აგენტურა და მისი სტატისტიკა ეფუძნება მონაცემებს საზღვარგარეთელი თაღლითების მსხვერპლთა შესახებ. ეს მონაცემები კი ჟურნალისტებს გადასცა რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

როგორც გაზეთი „სეგოდნია“ წერს, რუსეთში გრძელდება მარცვლეულის წარმოების დაცემა. და ყოველივე ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენზე, როგორც კი შეგვიწყვეტენ მარცვლეულის გამოგზავნას ოკეანის გაღმიდან. მიზეზი ის გახლავთ, რომ, ჯერ ერთი, ნაკლები ფართობი დაითესა წინანდელთან შედარებით, ამას დაერთო გვალვა და სხვ. ყოველივე ეს წინათაც იყო ცნობილი, ისევე როგორც ის, რომ „ოკეანის გაღმა“ რატომღაც ამინდის არახელსაყრელი პირობები არ არსებობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, **ვიცე-პრემიერი ა. ზავერიუხა,** რომელიც სოფლის მეურნეობას კურირებს, უარყოფს მისდამი საქვეუწყებო სოფლის მეურნეობის სამინისტროს არასახარბიელო პროგნოზებს და გვარწმუნებს, რომ რუსეთი „არ დაუბრუნდება საბჭოთა კავშირის მანკიერ პრაქტიკას, როდესაც მარცვლეულს საზღვარგარეთ ყიდულობდნენ“.

გრძელდება „ტიკინების“ ტრაგიკომედია იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ რუსეთის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა რუსეთის დამოუკიდებელი ტელევიზიის გადაცემაში „ტიკინები“, „უმაღლესი თანამდებობის პირთა შეურაცხყოფისათვის“, **„მოსკოვსკიე ნოვოსტი“** ამასთან დაკავშირებით აქვეყნებს ამ სატირული შოუს ავტორის ვიქტორ შენდეროვიჩის წერილს. იგი, კერძოდ, აღნიშნავს: „აბა დაფიქრდით, რა მოუვიდოდა რუსეთის დემოკრატიას, რომ თავის დროზე პოლიტბიუროს წევრი ელცინი, რომელიც ამავე პოლიტბიუროს წევრებს ებრძოდა, კი არ გაეგდოთ, არამედ, ვთქვათ, დაეჯილდოებინათ ოქტომბრის რევოლუციის ორდენით და საქვეყნოდ გადაეკოცნათ... მაშინ ვინ გაგვიძღვებოდა წინ საბაზრო ეკონომიკის გამარჯვებისაკენ?“ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გამონათქვამით ტელესატირიკოსმა კიდევ ერთი საინტერესო სიუჟეტი შემატა ტელეპროგრამას, რომელიც პროკურატურამ დაგმო.

მიმოსახილველ პერიოდში პრესის ყველა სხვა აქტუალური თემა ცნობილია სატელევიზიო გადაცემებიდან: ჩეჩნეთში მიმდინარე მოლაპარაკება, რუსეთის პოზიცია სერბთა დასაცავად, სკანდალები ხელისუფლების დერეფნებში და რუსეთის გზაჯვარედინებზე. რას იზამ — პერიოდული პრესა ჩამორჩება ელექტრონულს, სამაგიეროდ გაზეთს საფუძვლიანი ანალიზის გაცილებით მეტი შესაძლებლობანი აქვს. ვინაიდან ის, რაც ეკრანიდან გაისმა, ეთერში გაქრა, ხოლო ის, რაც კალმით დაიწერა, უკვე მატიანეა. სწორედ ამიტომ ვუსურვებ საკუთარ თავსაც და კალმოსან კოლეგებსაც მუდამ გვახსოვდეს ეს.

იური მოსიშვილი.

ინფორმაცია

ექსპერტთა შეხვედრა მადრიდში

მადრიდში გაიმართა ბიოლოგიური სხვადასხვაობის პრობლემათა ექსპერტების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალისტი ზურაბ ჯორჯილიძე.

— მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ექსპერტებმა განიხილეს გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების რეგულირების, მათი გამოზრდის საკითხები, — უთხრა მან საქინფორმის კორესპონდენტს, — ეს ძალზე აქტუალური პრობლემაა. მსოფლიო პრაქტიკაში ხელოვნურად გამოზრდილ ორგანიზმებს იყენებენ მედიცინაში (ვაქცინათა სახით) და სოფლის მეურნეობაში (პესტიციდების ნაცვლად). მაგრამ გამოირკვა, რომ ასეთ, თითქოსდა ეფექტიან პრაქტიკას, თავისი ნაკლოვანებანიც ჰქონია. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს მოდიფიცირებული ორგანიზმები გამოიმუშავებენ ისეთ შენაერთებს, რომლებიც შხამიანია და სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მნიშვნელოვანი პრობლემის განხილვაში მონაწილეობისათვის მიწვეული იყვნენ საქართველოს, ესტონეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის წარმომადგენლები.

მედიცინის სიახლენი

მინი-მკურნალი

ლონდონის სამეფო საავადმყოფოს სპეციალისტებმა შეიმუშავეს მკერდის კიბოს მძიმე ფორმებით დაავადებულ ავადმყოფთა სისხლში კიბოსსაწინააღმდეგო წამლების შეყვანის ახალი სისტემა. მათ შექმნეს მინიატიურული ელექტრული ტუმბო, რომელიც საშუალებას იძლევა, შეუჩერებლივ მიაწოდონ წამლის საჭირო დოზა პაციენტის სისხლძარღვებს. დაახლოებით ჯიბის ფარნის სიდიდის ტუმბო ავადმყოფს უმაგრდება წელზე და იგი უერთდება უახლოეს სისხლძარღვს.

მკურნალობის ახალი მეთოდი უკვე გამოსცადეს. ავადმყოფთა ნახევარზე მეტს სიმსივნე სრულიად გაუქრა, დანარჩენებს კი იმდენად შეუმცირდა, რომ საჭირო გახდა მცირე ქირურგიული ოპერაცია. ეს მეთოდი მოხერხებულია იმითაც, რომ ავადმყოფებს მისი გამოყენება შეუძლიათ შინ, ჩვეულებრივ პირობებში.

საკათედრო ტაძრის მშენებლობისათვის

სააქციო-კომერციულმა ბანკმა — „საქართველოს ბანკმა“ (პრეზიდენტი — ვლადიმერ პატეიშვილი), თბილისში საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში გადარიცხა ერთი მილიარდი კუპონი.

ადამიანის ბედი

რკინის ღობის იქით დარჩენილები...

საგულდაგულოდ ჩარაზული რკინის კარი გავიარეთ და ეზოში გავედით.

ეზოში — ბროწეულისფერი ყვავილები, სისუფთავე და სიმყუდროვეა. სიღრმეში, საკმაოდ დაძველებული შენობების მახლობლად, კვლავ რკინის კარი და იმ ტერიტორიაზე მოვხვდით, სადაც პატიმარი ქალები იხდიან სასჯელს.

ქალთა კოლონიაში ვართ.

დღეს აქ ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და ჟურნალისტები მოვედით.

სევდაჩამდგარი, ცრემლიანი თვალები, დარდი, აფორიაქებული სულები... სწორედ პატიმარ დედა ქალთა ამ მდგომარეობას ითვალისწინებდნენ ქალთა რესპუბლიკური საბჭოს მესვეურები, მისი თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი, ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწე ზინაიდა კვაჭაძე, რომლებმაც გულთბილი სიტყვებით მიმართეს მსჯავრდადებულ ქალებს, გაამხნევეს ისინი, მოუწოდეს: მიუხედავად ყველაფრისა, გული არ გაიტეხონ, სულით არ დაეცნენ და აქედან გამოსულები საზოგადოების ღირსეული წევრები გახდნენ. ქალთა საბჭოს წარმომადგენლებმა, მედიკამენტებთან ერთად, საჩუქრები მოუტანეს პატიმარ ქალებს — მაკარონი, შაქარი, წიგნები, ისნის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ მანანა გოჩალეიშვილმა ხილი, ბოსტნეული და ფლოსტები გადასცა მათ. დიდუბის რაიონის ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ლია თაფხაშვილმა კბილის პასტა დაურიგა პატიმრებს. გაიმართა ერთგვარი დიალოგი, გულახდილი საუბარი. სტუმრები ცდილობდნენ, რითაც „შეეძლოთ, დახმარებოდნენ უბედურებაში ჩავარდნილთ, აკადემიკოსი ლუბა შეწირული დაპირდა, რომ ვისაც კანის ან გინეკოლოგიური დაავადება აქვს, ინსტიტუტიდან თანამშრომლებს გამოუგზავნის გამოკვლევისა და მკურნალობისათვის. საბურთალოს ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორმა ლალი გუჯაბიძემ პატიმრებს ავადმყოფი ბავშვების გამოკვლევა და მკურნალობა აღუთქვა. პოეტებმა მზია ჩხეტიანმა და ლინა ბარათაშვილმა თავიანთი ლექსები წაუკითხეს და შემდეგ მათ საკუთარი წიგნები გადასცეს. „ქალთა გაზეთის“ რედაქტორმა ცირა კუპატაძემ გაზეთის რამდენიმე ნომერი მოიტანა და შეპირდა, რომ ბიბლიოთეკას გამოუგზავნის გაზეთის ახალ ნომრებს.

აქ მოხვედრის მიზეზი მრავალია — სამართლიანი და ალბათ, არც მთლად სამართლიანი, მაგრამ განთავისუფლება ყველას ერთნაირად სურს. ხანშიშესულმა შუშანამ დაუფარავად გვითხრა — მეშვიდედ ვარ ქურდობაზე დაპატიმრებული, შვიდი წელი მაქვს მისჯილი, უკვე ოთხი წელია აქა ვზივარ, სახლში კი რვა შვილიშვილი მელოდება, იქნებ დამეხმაროთ, პირობას გაძლევთ, აღარ ჩავიდენ დანაშაულს. ოღონდ მაპატიონ და ოჯახს დავუბრუნდეო.

თხოვნა ბევრი იყო. ზოგი საქართველოს პარლამენტის სახელზე დაწერილ შეწყალების ბარათებს გადასცემდა ქალბატონ ზინაიდა კვაჭაძეს.

ყველა მათგანში ცრემლი და ტკივილია. აი, რას წერს მსჯავრდებული რუსუდან ყუფარაძე: „კარგა ხანია ფურცელს დავყურებ. მიჭირს თქმა და დაწერაც, თუმცა დღევანდელ ცხოვრებაში არაფერს არა აქვს აზრი, არც დაწერას და არც წაკითხვას. ვწერ იმედდაკარგული. იქნებ ჩემი დაკარგული იმედი დამიბრუნოთ. ვარ მესამედ ნასამართლევი 150-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით. მომისაჯეს ხუთი წელი. აქ უკვე ორი წელიწადია ვარ. მწარედ ვინანიებ ჩემს დანაშაულს. ვინაიდან მყავს მცირეწლოვანი შვილი, და ინვალიდი დედა, იქნებ გულთან მიიტანოთ ჩემი გამწარებული შვილის ბედი, რომელსაც ჩემს მეტი პატრონი არავინ დარჩა“.

მარინე ხანიაშვილი: „გვიან მომიხდა საკუთარ სულში ჩახედვა. გულწრფელად ვინანიებ ჩემს დანაშაულს ღმერთისა და საზოგადოების წინაშე, ვფიცავ, რომ მსგავსი დანაშაული აღარ განმეორდება. ჩემი მოზარდი შვილი, ხანდაზმული და ავადმყოფი დედის ამარაა. სწორედ ახლა სჭირდება მას დედის მზრუნველობა, სითბო და სიყვარული, ის ახლა მწარედ გრძნობს უდედობას. გთხოვთ, აღმიძრათ შუამდგომლობა შეწყალებაზე და იქნებ ცოტაოდენ შემიმსუბუქონ სასჯელი“.

პატიმარი ქალები დიდად ემადლიერებიან კოლონიის უფროსს გურამ ცერცვაძეს, რომელიც უკვე ექვსი თვეა, რაც აქ იმყოფება და ყველაფერს თავისი კვალი დაამჩნია. მის მიმართ პრეტენზია არავის გამოუთქვამს. დაგვათვალიერებინეს მთელი ტერიტორია. სამლოცველოც გვაჩვენეს. აღტაცებით გვიყვებოდნენ მამაო მაკარზე, რომელიც მათთან ხშირად მობრძანდება, აღავლენს ლოცვებს, იხდის პარაკლისს, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ხატი გამოუგზავნა, ერთმა პატიმარმა ქალმა ბიბლიურ თემაზე კედელი მოხატა, აქ მოდიან მონაზვნები, მოაქვთ ჰუმანიტარული დახმარება.

...ახალგაზრდა, ცისფერთვალება, თმაგადაპარსული ქალი მომიახლოვდა, ძალიან ღელავდა. — იცით, მე რომ დამაპატიმრეს, ჩემი შვილები სკოლის მოსწავლეები იყვნენ, — უყვებოდა იგი, — ამჟამად უკვე სტუდენტები არიან, მათ ახლა სჭირდებათ ჩემი ყურადღება, მოვლა. მე აქ სამაგალითოდ ვიქცევი, იქნებ დამეხმაროთ, შეწყალებაზე მიშუამდგომლოთ. რისთვის ხარ-მეთქი დაპატიმრებული, რომ ვკითხე, — მიპასუხა: მკვლელობისთვის. იმდენად მოულოდნელი იყო მისი ნათქვამი, რომ სანუგეშოდ სიტყვა ველარ მომიბრუნდა.

ყველას ვუსმენდით, ყველა გვეცოდებოდა, მაგრამ რა ქნან იმათ, ვისაც შვილი მოუკლეს, ახლობელი ნარკოტიკებით მოუწამლეს და სამუდამოდ დაამახინჯეს, უკანასკნელი დანაზოგი წაგლიჯეს, რამდენი კითხვა კიდევ დაისმის!..

მაინც იმედით გვაცილებდნენ იმ რკინის ღობემდე. რომლის იქით ჩვეულებრივი ცხოვრება იწყება. ისინი კი იმ ღობის უკან დარჩნენ.

ლარისა ხუგულური.

ეს ჩვენი საქართველოა!

გამოცდები. სიმონ კილაძის ფოტო.

კიდევ ერთი აკადემია

თბილისში შეიქმნა კიდევ ერთი აკადემია — პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემია. მეცნიერებთან — პედაგოგიკის, პედაგოგიური ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, მედიცინის დარგის პროფესორებთან, დოქტორებთან, მეცნიერებათა დოქტორებთან და კანდიდატებთან ერთად აკადემიაში გაერთიანდნენ სამღვდელოების წარმომადგენლები, სამხედრო მოსამსახურეები, ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელები. აკადემიის წევრთა აზრით, სხვა დარგების წარმომადგენლებთან სამეცნიერო ძალების ასეთი კონსოლიდაცია ხელს შეუწყობს რესპუბლიკის განათლებას თავი დააღწიოს კრიზისს, რომელშიც ახლა იმყოფება.

დამფუძნებელ კრებაზე აკადემიის პრეზიდენტად არჩეულია პროფესორი ნათელა ვასაძე, ვიცე-პრეზიდენტებად — პროფესორები — აკაკი ბაინდურაშვილი, ვლადიმერ გაგუა და კარლო მაჰარაშვილი. აკადემიკოს-მდივნად არჩეულია პროფესორი ლევან ჩიქვანაია.

იმდენს გატირებს სოფელი, რამდენიც გაგიცინია

ასეთ შემთხვევაში ძველ დროს ალბათ დავწერდი: მრავალრიცხოვან მკითხველთა დაჟინებული თხოვნით ვაგრძელებთ მინიატურა-მოგონებების „ამას თვითონ მიგიხვდება ჩემი ქუთაისი“ პუბლიკაციას-თქო. ალალად გეტყვით, ჩემს ნაცოდვილარს მაინცდამაინც დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, თუმცა ათმა-თორმეტმა კაცმა და სარედაქციო თათბირზე გამოსულმა კოლეგებმა მართლაც არ დაიშურეს თბილი სიტყვები. ეს კი არა, სკოლის დამთავრების შემდეგ რომ არ მინახავს, ისეთმა თანაკლასელმაც მომაგნო, ტელეფონით გამომეხმაურა. ამიტომაც, ჩვენი გაზეთის ტირაჟის სიმცირისა და კავშირგაბმულობის მდგომარეობის გათვალისწინებით, თავს ვარწმუნებ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთგულ მკითხველებს გარკვეულად მაინც დააინტერესებს თემის გაგრძელება ჩვენს ქუთაისზე და ქუთათურებზე.

ანზორ ბასილაია.

ამას თვითონ მიგიხვდება ჩემი ქუთაისი...

შანდორი

ომის მიწურულს, ქუთაისი პირდაპირ გაივსო ტყვეებით. სამხედრო კომენდატურებში, როგორც ჩანს, თავისებურად მიუდგნენ მათი დაპურების საკითხს — ტყვეებს დღის განმავლობაში თავისუფლად გადაადგილების და, შესაბამისად, კვების საშუალებაც მიეცათ. ერთი ასეთი ჩამოძენძილ-ჩამოკონკილი მშიერი ჯეელი ჩვენთანაც მობრძანდა. ჭიშკართან, ეზოში მოთამაშე ბავშვებს აგვიხსნა, რომ იგი არ იყო „ფრიცი“, „გიტლერ კაპუტ“ რამდენჯერმე გაგვიმეორა და დედაჩემს, ქსენიას (ბერძნულად „სტუმართმოყვარეს“ ნიშნავს) შესთავაზა ეზოში მდგარი უზარმაზარი გამხმარი ნიგვზის ხის მოჭრა.

თანხმობა რომ მიიღო, ხალისით და საოცარი ენერგიით შეუდგა საქმეს. ჩვენი დაჟანგული ნაჯახი გალესა, გაფერა და შეუსვენებლივ უბაყუნა შვასავით ხის შუადღემდე. მჭადი და ყველის ნატეხი რომ შეჭამა, თვალებში სინათლე ჩაუდგა. ბოლოს რაღაც წეკოს მაგვარი გააბოლა და „გამომელაპარაკა“. აღმოჩნდა, რომ ჩვენს ეზოში მუშაობდა უნგრელი, სახელად შანდორი. გულჯიბიდან ფოტო ამოიღო: ვხედავ, ჩვენი „ფრიცი“ ყვავილნარში ჩაფლული მშვენიერი ორსართულიანი სახლის წინ დგას, გარშემოხვეულ მტრედებს საკენკს უყრის...

მჭვხვდი, რატომ მაინცდამაინც ჩვენთან მოვიდა შანდორი: ჩემი უფროსი ძმა რეზო ხომ „მოწამლული“ მემტრედე იყო. გორაზე და შეიძლება მთელ ქუთაისშიც, ცოტას თუ ჰყავდა ისეთი „მოთამაშე“ მტრედები. ჩვენს ეზოში კი ალიონი მტრედების აფრენით იწყებოდა...

• • •

შანდორმა ერთ კვირაში ძირს დასცა ჩვენი გიგანტი ნიგვზის ხე. მერე ორ-სამ კვირას მოუნდა მის დახერხვა-დაპობას. დიასახლისს ყოველთვის ჰქონდა მისთვის მჭადი და, ხანდახან, ყველი. შანდორი იმდენად მოშინაურდა, სახლშიც შემოვიდა. „ზალაში“ შავი პიანინო რომ დაინახა, თითი გაიშვირა და იკითხა:

— მუზიკ?

— კი, ბატონო, დაუკარი, ვთხოვეთ.

ქუთაისში, გორაზე, პირველად გაისმა უნგრული პოპულარული მუსიკის ჰანგები.

მე ამ მელოდიას დღესაც კარგად „ვასრულებ“ და ყოველთვის ჩვენი „გერმანელი პლენი“ მახსენდება...

ნაფრონტალები ჩამოდიან

ამასობაში ომიდან თანდათან იწყეს ჩამოსვლა გადარჩენილებმა; დაბრუნდა ორი ბიძა — დიომიდე და გოგია. პირველს ჰქონდა მიღებული და არც ორდენები ჩამოჰყოლია. სამაგიეროდ, გოგიას ბარე თერთმეტი მსხვილი ორდენი და მედალი, საფეთქელთან კი, სულ სანტიმეტრის დაშორებით, იმხელა ღრმული მოუღია, რომ ჩვენი ბიჭების დიდი ინტერესის ობიექტად იქცა.

დიომიდეს სიტყვას ვერ დააცდენინებდი ომზე. გოგია კი ხალისით გვიყვებოდა სად იბრძოდა, რომელ ფრონტზე, ჯილდოები რისთვის მიიღო. მაგრამ მისი განსაკუთრებული სიამაყის საგანი იყო ქაღალდი, რომელსაც უბრალოდ ერქვა: „უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა“. მას ხელს აწერდა სტალინი.

●

ომიდან დაბრუნებულნი, უმეტესად დაჭრილნი და ხეიბარნი, ჩვენთვის, 8-9 წლის ბიჭებისთვის, ცოცხალ საოცრებას წარმოადგენდნენ. მათ ნაამბობს გაფაციცებით ვუსმენდით.

— თქვენ რას შვებოდით, ბიძია, ომში? — გვაინტერესებდა.

— მე, ბიძიებო, ფრონტზე სატანკო დივიზიის დირექტორი ვიყავი — პოპულარულად აგვიხსნა ერთმა ნაფრონტალმა. — ერთხელ, ჩვენი ტანკებით, მივადექით ოდერს — არ დაუზარა დეტალების მოყოლა ნაომარს, — შევჩერდით. მერე კი გვიბრძანეს: ვპერიოდ! წკუპ და, პირდაპირ მდინარეში ვწკუპეთ ცხენები...

— გერმანელი თუ მოგიკლავს, ბიძია?

— კი, ერთი ნამდვილად მოვკალი — გვიყვება უკვე სხვა ნაფრონტალი: დასაჭერად გამომეკიდა, იმდენი ვარბენინე, იმდენი ვარბენინე, გაისუნთქა და მოკვდა...

ვანია ორფინიდი

უბანში იმ ხანად მრავალი ბერძენი ცხოვრობდა. ჩემი უფროსი ძმის მეგობარი — ვანია ორფინიდი, მართლაც რომ გამორჩეული ტანმოვარჯიშე იყო: შეკრული, გლუვკუნთებიანი. სრულიად უბალნო ტანით, პროპორციული სახის ნაკვთებით, ხორბლისფერი ხუჭუჭა ქოჩრითა და ცისფერი თვალებით ელინური მითების გმირს ჰგავდა.

ჩვენს ეზოში, თვითნაკეთ ორძელზე, უზადოდ ასრულებდა საკმაოდ რთულ ტანვარჯიშულ ილეთებს. შეჯიბრებაზე ვანიას გამოსვლებს ყოველთვის ბევრი მაყურებელი ჰყავდა, განსაკუთრებით — გოგონები...

ერთხელ ჩემი ძმა ისეთ მჟავე ხასიათზე დაბრუნდა შინ, რომ ვერ ვიცანი. დიდხანს დაბორიალობდა ოთახში, მერე კი გამანდო:

— წუხელ ღამით, ვანია სხვა ბერძნებთან ერთად ქალაქიდან გადაუსახლებიათ.

...36 წლის შემდეგ ქუთაისში შევხვდი თმაგაცვენილ, სახემოქანარ, ოქროსკბილებიან, მხრებჩამოყრილ კაცს. ვანია ორფინიდი ყაზახეთიდან დაბრუნებულიყო.

ბაზის დირექტორი

80-იან წლებში, „ლელოში“ ჩემი მუშაობისას, ქუთაისში მოვხვდი. მეგობარს, გოდერძის, ვთხოვე — ვაჭრობის მუშაკი ხარ, ერთი ნორმალური პერანგი მაშოვნინე-მეთქი. მაშინვე „შეკარილების“ ბაზაში მიმიყვანა, დირექტორს ჩემი თავი წარუდგინა და თხოვნაც დაურთო.

დაფაცურდნენ. ამასობაში, დირექტორის საწერი მაგიდის თავზე დაკიდებულ სკკპ გენერალური მდივნის ფერად, ორდენებით და მედლებით გადაჭედილ პორტრეტს დავადგი თვალი და დირექტორს გემოვნება შევუქე, „რა შესანიშნავი სურათი გიკიდიათ-მეთქი კაბინეტში“.

— ბატონო, სიამოვნებით მოგართმევდით საჩუქრად, მაგრამ ვიდრე თბილისში ჩაბრძანდებით, უეჭველია, ერთ ორდენს კიდევ მიიღებს და რა ფასი ექნება არასრულყოფილ პორტრეტსო — მომიგო იმ მართლაც ქუთაისელმა.

რეპლიკა

რა იყო „საიდუმლოდ მოსაპოვებელი?!“

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გაზეთ „საქართველოს“ 8-15 აგვისტოს ნომერში პირველ გვერდზე სათაურით „გასაიდუმლოებული დოკუმენტი“ გამოქვეყნებულია ჯავახეთიდან მიღებული მიმართვა. მასზე ყურადღებას არ შევაჩერებ, მხოლოდ სარედაქციო კომენტარის ერთ აბზაცს შევეხები:

„დოკუმენტი, რომელსაც აქ გთავაზობთ და რომელიც რედაქციამ, ფაქტობრივად საიდუმლოდ მოიპოვა, საქართველოს პარლამენტის აპარატის საერთო განყოფილებაში შესულია 1 აგვისტოს. რა თქმა უნდა 8 აგვისტომდე იგი გასაიდუმლოებული იყო“.

განვმარტავ: საგაზეთო კომენტარი არასწორია. არავითარი დევნა, სახურავებზე ხტომა, შანტაჟი, მოსყიდვა არ ყოფილა. ფაქტობრივად აპარატში 1 აგვისტოს შემოსული აღნიშნული დოკუმენტი უკვე 2 აგვისტოს შესაბამისი რეზოლუციით ჩაბარდა ყველა საპარლამენტო კომისიისა თუ ფრაქციის ხელმძღვანელს.

ჩემთვის გაუგებარია, თუ რა ჰქონდა დეტექტიური საშუალებებით, ანუ როგორც აღნიშნულია „საიდუმლოდ მოსაპოვებელი“ რედაქციას, როცა დოკუმენტი უკვე 2 აგვისტოს, სხვებთან ერთად დაურიგდათ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის და რესპუბლიკური ფრაქციის ხელმძღვანელებს!

ნათქვამს ისიც მინდა დავუმატო, რომ დოკუმენტი არ ყოფილა გასაიდუმლოებული. ასეთი რომ ყოფილიყო, გარწმუნებთ, პარლამენტის აპარატიდან ვერც „საქართველო“ და ვერც სხვა გაზეთი მას ვერ მოიპოვებდა.

ასე რომ, მომავალში პარლამენტის აპარატის ავტორიტეტის დამცირების ხარჯზე ნურც ერთი რედაქცია ნუ შეეცდება მკითხველის ყურადღების მიპყრობას.

მიხეილ მჭედლიძე,
პარლამენტის აპარატის უფროსი.

კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა

ვიქტორ გოცირიძის ხსოვნას



რამდენიმე ხანია, რაც მიწას მივაბარეთ თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის ფუძემდებელი ბატონი ვიქტორ გოცირიძე.

ჭეშმარიტად დიდია ბატონ ვიქტორ გოცირიძის ღვაწლი თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის დაფუძნებასა და მის შემდგომ განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მეტრომშენებელთა ქართული სკოლა. ამიტომ, სულაც შემთხვევით არ არის, რომ საქართველოში მისი სახელი საზოგადოდ მეტრომშენებლის სინონიმი გახდა.

ვიქტორ გოცირიძის აკვანი დაირწა იმ ოჯახში, რომელმაც ქვეყანას არაერთი ღირსეული მამულიშვილი შეხძინა. მე მხოლოდ ორ მათგანს გამოვყოფდი. ბატონი ვიქტორის ძმა — ილია გოცირიძე თავის დროზე მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლობის სახელმწიფო სამმართველოს უფროსი გახლდათ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აიგო მოსკოვის მეტროპოლიტენის სადგური — „მაიაკოვსკია“.

ბატონი ილია გახლდათ ქვეყნის სატრანსპორტო მშენებლობის დარგის დიდი მასშტაბის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

ბატონი ვიქტორის მეორე ძმა — მიხეილ გოცირიძე ქვეყნის ქიმიური მრეწველობის თვალსაჩინო სპეციალისტი და ორგანიზატორი, ქიმიკოსთა ქალაქ ძერჟინსკის ერთ-ერთი დამაარსებელი იყო.

35 წლის მანძილზე ვიქტორ გოცირიძე უცვლელად ხელმძღვანელობდა მეტრომშენებელთა კოლექტივს. თბილისელ მეტრომშენებელთა საინჟინრო კორპუსი და პროფესიონალურ მუშათა საკადრო შემადგენლობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ქ. თბილისის მერიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მეტროპოლიტენს ეწოდოს ბატონ ვიქტორ გოცირიძის სახელი.

ბატონ ვიქტორს, უდიდეს ტკივილთან ერთად, უდიდესი სიამაყის გრძნობით მოვიხსენიებთ მადლიერი შთამომავლობა.

გრიგოლ ბოკუჩავა,
თბილისის მეტრომშენის მთავარი ინჟინერი.

ქ. თბილისის ჟურნალისტიკის ინსტიტუტის ახმეტის ფილიალი

აცხადებს მიღებას 1995-1996 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

● **ჟურნალისტიკის ფაკულტეტი,**
სპეციალობა ჟურნალისტიკა;
● **იურიდიული ფაკულტეტი;**
სპეციალობა სამართალმცოდნეობა.
სწავლება ფასიანია.
საბუთები მიიღება ახმეტის პირველ საშუალო სკოლაში 20 აგვისტოდან, 20 სექტემბრამდე;
ჩარიცხვა — გამოცდა-ტესტებით.

როცა ოსებს ქართველები ეშველებიან...

წლევანდელ საფეხბურთო სეზონში რუსეთის დედაქალაქის სახელგანთქმულ კლუბებს კავკასიურ რისხვად ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანია“ მოევლინა. ჩვენი დაინტერესება ოსეთის გუნდის მიმართ ადვილად ასახსნელია — მათ რიგებში ხომ ქართული ფეხბურთის აღზრდილები თამაშობენ და საკმაო წარმატებითაც.

ამ დღეებში შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი ფირმა „2 ა აგენსის“ უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ უხვად ილუსტრირებულ ჟურნალს — „ვლადიკავკაზის „სპარტაკი“ 1995“ (ავტორ-შემდგენელი ანდრეი პეტროვი; ჟურნალისტები პავლე ალიოშინი და ალექსანდრე გორბუნოვი; ფოტო — ალექსანდრე ფედოროვი). უპირველეს ყოვლისა, წარმოგიდგენთ რუსეთის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის მოკლე სავიზიტო ბარათს: პრეზიდენტი — ჩრდილოეთ ოსეთის სპორტის მინისტრი, ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში სოსლან ანდიევი, გენერალური დირექტორი — ბათრაზ ბითაროვი, მთავარი მწვრთნელი — ვალერი გაზაევი, მწვრთნელი ვლადიმერ გუტაევი. გუნდი დაარსდა 1921 წელს, „სპარტაკის“ სახელით ასპარეზობს 1937 წლიდან 5-გზის ჩრდილოეთ ოსეთის ჩემპიონი და 5-გზის თასის მფლობელი, რუსეთის ფედერაციის 1966 და 1983 წლების ვიცე-ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის პირველი ლიგის 1969 და 1990 წლების ჩემპიონი, უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა 1970 და 1991 წლებში, დამოუკიდებელი რუსეთის 1992 წლის ვიცე-ჩემპიონი. კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარა ნიკოლოზ ხუდიევმა (417). საუკეთესო ბომბარდირია ნოდარ პაპელიშვილი (127 გოლი. ამ მაჩვენებლით მესამე ადგილზეა გიორგი კაიშაური — 104 გოლი).

გთავაზობთ ჩვენს თანამემამულეებთან დაკავშირებულ ფრაგმენტებს ზემოთხსენებული ჟურნალიდან, რომლებიც, ვფიქრობ, ბევრ რამეზე მეტყველებენ:

„**ვალერი გაზაევი** — კარგი გუნდის შექმნისას მნიშვნელოვანია არა იმდენად არაორდინარულ შემსრულებელთა შეკრება, რამდენადაც მათი შეთანხმებულობა კონკრეტული კოლექტივის სტილთან. საიდუმლო არ არის, რომ „სპარტაკი“ უფრო სამხრეთული, ტექნიკური, სანახაობრივი ფეხბურთისაკენ იხრება. ამიტომაც შევაჩერეთ არჩევანი ქართული სკოლის მოთამაშეებზე — შელიაზე, რევიშვილზე, ყაველაშვილზე. სამივენი ეროვნულ ნაკრებში შედიან და მათი კვალიფიკაცია ეჭვს არ იწვევს.

...თეთრაძეზე ექს-დინამოელზე, განსაკუთრებით მინდა ვისაუბრო. მე მას რუსეთის ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელად ვთვლი. და ამ მხრივ ომარს მხოლოდ ონოპკო თუ შეედრება. ასეთი ტაქტიკური მომზადება, უნივერსალობა, საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება სხვას არავის გააჩნია. ამასთანავე, თეთრაძე ის ადამიანია, რომლისთვისაც ახლობელი და გასაგებია ჩემი, როგორც მწვრთნელის, იდეები და მათი გუნდში თავისებური გამტარებელია. თავისუფალი მცველის ამპლუაში ომარი საუკეთესოდ გამოიყურება რუსეთში. განა შელია და ტიმოფეევი თანამედროვე ფორმაციის ოსტატები არ არიან? მათი შრომისუნარიანობა, ამტანობა, თვისება, რომ წარმატებით დაიცვან თავი და თან შეუტიონ, მისაბაძია.

თავიდან მაღელვებდა გოლკიპერის დეფიციტი, მაგრამ ყაველაშვილის მოსვლით, მჯერა, ეს პრობლემა გადაიჭრება (მართლაც, მიშამ უკვე 10 ბურთის გატანა მოასწრო — რედ.).

ბათრაზ ბითაროვი: თეთრაძე, შელია, რევიშვილი, ყაველაშვილი, ტიმოფეევი დიდი თანხა დაგვიჯდა. საერთო ჯამში შემადგენლობის გასაძლიერებლად მილიარდნახევარი რუბლი გავიღეთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს ის შემთხვევაა, როცა რისკი გამართლებულია, ამ შემადგენლობით ხომ არა მარტო რუსეთის ჩემპიონატის საპრიზო სამეულში, არამედ, ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ბრძოლის უნარიც შეგვწევს, აქ მოპოვებული თითოეული ქულა კი უზარმაზარ სახსრებს დაგვიბრუნებს.

ზაურ ხაპოვი — თბილისში ჯერ კიდევ მაშინ ვიწყებდი თამაშს, როცა იქ ოთარ გაბელია გამოდიოდა. სხვათა შორის, თბილისის კლუბთან ერთად მე საქართველოს ჩემპიონი გავხდი, პირველი უცხოელი ჩემპიონი.

მახვა თედეევი — თეთრაძის, ტიმოფეევის, რევიშვილის, შელიას, დერკაჩის, ყაველაშვილის მოსვლამ შესამჩნევად გააძლიერა გუნდი, რაც საშუალებას მოგვცემს თამაშში სტაბილურობას მივაღწიოთ.

წყნარი, ავტორიტეტიანი **ინალ ჯიოევის** გრაფაში „წინა გუნდები“, სიცარიელეა. „წინა“ მას არ ჰქონია, თუ, რა თქმა უნდა, ასეთად ცხინვალის „სპარტაკს“ არ მივიჩნევთ. თუმცა, ინალი ხომ ცხინვალში დაიბადა და მაშ სადღა უნდა დაეწყო თამაში, თუ არა ადგილობრივ „სპარტაკში“? ცხინვალში ფეხბურთი სარაიონო დონეზეა. საკავშიროზე ჯიოევი 1990 წელს გამოჩნდა ვლადიკავკაზის „სპარტაკში“.

მურთაზ შელია მურთაზ ხურცილავასა და ალექსანდრე ჩივაძის — დაცვის ამ დიდოსტატთა საქმის ღირსეულ გამგრძელებლად არის დასახელებული და აღნიშნულია, რომ მათ მსგავსად უშუალო ფუნქციების კარგად შესრულებასთან ერთად შეტევებშიც უნარიანად, გონივრად ერთვება, თანაც ხაზგასმულია, რომ მურთაზი იმპროვიზაციის მომხრე ქართული სტილის მცველია.

არანაკლები ეპითეტები ეძლევა **ზაზა რევიშვილს** — „მისი ამპლუა განუსაზღვრელია. იგი ფართო უფლებებითაა მინდორზე აღჭურვილი, აქვს განსაცვიფრებელი მობილურობა და ურთულესი სათამაშო სიტუაციების სწრაფად გამოცნობის უნარი“.

მრავლისმთქმელია ჟურნალის ბოლო სტრიქონები: „ამჟამად „სპარტაკს“ ყოველ რგოლში თითო ქართველი ჰყავს და მერე როგორი? ისინი საქართველოში ჩემპიონობას არიან ჩვეულნი, ჩვეულება კი რჯულზე უმტკიცესია“.

გია პლატონიშვილი.

ორი ლიდერი

7 გამარჯვება, 6 დიდი ანგარიშით და ერთადერთი ფრე — ასეთი „სტუმართმოყვარეობა“ გამოიჩინეს ფეხბურთელთა მეშვიდე ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურში მასპინძლებმა. 30 გატანილი გოლიდან 27 სწორედ მათ ანგარიშზეა.

სტუმართაგან პრესტიჟის ქულა თბილისის დინამოელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფოთში ფრედ ითამაშეს „კოლხეთთან“ 1:1. ანგარიში მეორე წუთზე ქვეყნის ჩემპიონთა მცველმა გივი დიდავამ გახსნა, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებზე ფოთელებმა პენალტით გადაარჩინეს შეხვედრა.

გაგაცნობთ დანარჩენ შედეგებსაც: „სამტრედია“ — „ეგრისი“ 3:1; „ბათუმი“ — „სიონი“ 3:0; „მეტალურგი“ — „კახეთი“ 3:0; „ტორპედო“ — „გურია“ 5:0; „მარგვეთი“ — „შევარდენი“ 4:0; „დილა“ — „ივერია“ 4:0; „ზუგდიდი“ — „დურუჯი“ 4:1.

3 ტურის შემდეგ ჩემპიონატს ქულათა მაქსიმუმით 9-9, ორი ლიდერი ჰყავს — „მეტალურგი“ და „ტორპედო“. 7 ქულით მესამე ადგილზეა „კოლხეთი“.

მხოლოდ 6 სპორტსმენით....

სტუდენტური სპორტის დიდი ფორუმი — „უნივერსიადა-95“ 23 აგვისტოს იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში 150 ქვეყნის წარმომადგენლობით დაიწყება. ფინანსური პრობლემების გამო „ამომავალი მზის“ ქვეყანაში მხოლოდ 6 ქართველი სპორტსმენი მიემგზავრება — ძიუდოისტები ნესტორ ხერგიანი, ამირან ტოტიკაშვილი, გიორგი წმინდაშვილი, თამაზ ცოფურაშვილი, რამაზ ჩოჩიშვილი და მძლეოსანი რუსლან რუსიძე.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობა აზიიდან 2-3 მედლით დაბრუნებას ვარაუდობს.

შეკრებაზე—გერმანიაში

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი — თბილისის „ვითას“ ვაჟ კალათბურთელთა გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასზე გამოსვლამდე სავარჯიშოდ და საერთაშორისო ტურნირებში სასპარინგოდ გერმანიას გაემგზავრა. რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა, კლუბისა და ეროვნული ნაკრების თავკაცმა ბესიკ ლიპარტელიანმა მზადების ამ ორკვირიან ეტაპზე შემდეგი სპორტსმენები წაიყვანა: ნიკოლოზ დერიუგინი, კახაბერ შენგელია, ამბროსი ორმოცაძე, რევაზ ჩხეიძე, ლევან ქარაბაქი, ირაკლი ბაქრაძე, გია სანაძე, მიხეილ კობემავიძე, დუდუ დადიანი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, გელა დარსაძე და მამუკა ტურაშვილი.

ვსარგებლობთ შემთხვევით და, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდების მინიჭებას ვულოცავთ ქვეყნის ნაკრების გუნდის ხელმძღვანელებს ბესიკ ლიპარტელიანს, ნოდარ ქორქიასა და ჯამლეთ ხუხაშვილს.

შესარჩევი მატჩები

ამ დღეებში კონტინენტის სტადიონებზე გაიმართა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. გთავაზობთ სტუმართა გამარჯვებით დასრულებული რამდენიმე შეხვედრის შედეგს: ესტონეთი — ლიტვა 0:1, ლიხტენშტეინი — პორტუგალია 0:7, ფინეთი — რუსეთი 0:6.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის საავიაციო ფაკულტეტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1995-1996 სასწავლო წლისათვის სამხედრო-საჰაერო ძალების **საფრენოსნო** და **საინჟინრო** სპეციალობებზე.

საავიაციო ფაკულტეტზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ვადიანი და ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეები, ვადიანი და ზევადიანი სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი ახალგაზრდები **23 წლამდე** და წვევამდელები **21 წლამდე.**

აბიტურიენტები მისაღებ გამოცდებს აბარებენ **მშობლიურ ენასა** და **ლიტერატურაში** (წერა), , **მათემატიკაში** (ზეპირი), და **ფიზიკურ მომზადებაში.**

სამხედრო აკადემიის საავიაციო ფაკულტეტზე სწავლის ვად **ოთხი წელია.** სწავლის პერიოდში მსმენელები იქნებიან სრუ **სახელმწიფო კმაყოფაზე.** სწავლების სრული კურსის დამთავრების შემდეგ მათ ეძლევათ უმაღლესი სამხედრო-საინჟინრო გ ნათლების დიპლომი და ენიჭებათ სამხედრო წოდება „ლეიტენანტი“.

საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 29 აგვისტოდან.

მისამართი: თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. № 16 (მეტრო „ავლაბართან“).

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 95-69-11.

ამინდი 19 აგვისტოს

თბილისი: 31 გრადუსი,
ქუთაისი: 29 გრადუსი,
ბათუმი: 29 გრადუსი,
სოხუმი: 28 გრადუსი,
სამტრედია: 30 გრადუსი,
გორი: 30 გრადუსი,
ბორჯომი: 31 გრადუსი,
საგარეჯო: 29 გრადუსი,
თელავი: 30 გრადუსი,
გურჯაანი: 31 გრადუსი,
ახალციხე: 31 გრადუსი.

20 აგვისტოს, კვირას, მაგნიტური დღეა. კრიტიკული საათები 18.00 — 19.00.

მორიგე რედაქტორი **ანზორ ბასილაია**

გამომცემელი - შპს „პრესა“
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66484 ტელ. 99-78-24.
მთავარი რედაქტორი **ზურაბ ბოგიაშვილი**